პროექტი

საქართველოს კანონი
ბიოლოგიური მრავალფეროვნების
შესახებ

პრეამბულა

საქართველოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) წარმოადგენს მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. საქართველოს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას აქვს ფასდაუდებელი ღირებულება, მისი ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და ესთეტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება ქვეყნის საერთო საზრუნავი და მისი განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია. სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა უნდა განხორციელდეს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების სისტემის შექმნასა და მართვას, ასევე, ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას.

გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივ მოსახლეობასა და ტრადიციული ცოდნის მატარებელ პირებზე. ველური ფაუნისა და ფლორის სახეობის საერთაშორისო ვაჭრობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ამ სახეობებს და მათ საარსებო გარემოს.

თავი I . ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს სახეობების, ჰაბიტატების, ეკოსისტემების და ლანდშაფტების დაცვის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის, ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით სარგებლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის, გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ გარემოში მუდმივად ან დროებით არსებულ ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების დაცვის, აღწარმოებისა და სარგებლობის სფეროში.

3. ეს კანონი ადგენს ბიომრავალფეროვნებაზე საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს.

4. ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს ტყის კოდექსი, ხოლო დაცული ტერიტორიების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე, აწესრიგებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი. თევზჭერასთან და სანადირო სავარგულთან, სანადირო სახეობათა აღწარმოებასა და ნადირობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობით.

5. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონი.

6. სამრეწველო ავარიის ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანისათვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საკითხს აწესრიგებს ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მუხლი 2. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს სახეობების, ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების დაცვა, აღდგენა და მათი მრავალფეროვნების შენარჩუნება, საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნა და მართვა, ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით მდგრადი სარგებლობა დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, კლიმატის ცვლილების გავლენის შერბილება და ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება, აგრეთვე, გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა.

2. ამ კანონის მიზნებისათვის საქართველოში შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიები – ზურმუხტის ქსელი, ბიოსფერული

რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია და იუნესკოს გლობალური გეოპარკი.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში

1. საქართველოს კანონმდებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით სარგებლობის სფეროში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ,,გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს, ამ კანონს, სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ურთიერთობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშებისა და შინაური ცხოველების დაცვის, აღწარმოებისა და მათი სარგებლობის სფეროში აწესრიგებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

3. ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით სარგებლობის დროს ტყის, მიწის, წყლის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

4. ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, აგრეთვე გენეტიკური რესურსების გამოყენება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვით.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებანი

კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ბიომრავალფეროვნება** – ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, მათი საბინადრო ხმელეთის, ზღვის, წყლის სხვა ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში (გენეტიკურ მრავალფეროვნებას), სახეობათა შორის და ეკოსისტემებში;

ბ) **ბიოტექნოლოგია** - ყველა ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ცოცხალი ორგანიზმების და სხვა ბიოლოგიური სისტემების ან მათი ნაწილებისა და დერივატების გამოყენებასთან, იმისთვის, რომ პროდუქტი ან პროცესი კონკრეტული გამოყენების მიზნებისათვის შექმნას ან შეცვალოს;

გ) **გარეული ცხოველი** – ცხოველთა ყველა სისტემური კატეგორია, რომელიც ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს გარემოში, ასევე, მისი ტყვეობაში

გამრავლებული და/ან ტყვეობაში მყოფი ინდივიდები, გარდა შინაური ცხოველებისა და მათი გაველურებული ფორმებისა;

დ) **გენეტიკური რესურსი** - გენეტიკური მასალა, რომელსაც ფაქტობრივი ან პოტენციური ღირებულება აქვს. გენეტიკური მასალა არის მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან სხვა წარმოშობის ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მემკვიდრეობითობის ფუნქციურ ერთეულებს;

ე) **გენეტიკური რესურსის გამოყენება** - გენეტიკური რესურსების გენეტიკური და/ან მისი ბიოქიმიური შემადგენლობის კვლევა და შემდგომი განვითარება, მათ შორის ბიოტექნოლოგიის გამოყენებით;

ვ) **საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიები** – სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები (ზურმუხტის ტერიტორიები), ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნები, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიები და იუნესკოს გლობალური გეოპარკები;

ზ) **ველური მცენარე** - მცენარე, რომელიც არ არის მიღებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ან არ მიეკუთვნება სახეობათა ხელოვნური შეჯვარებით მიღებულ კულტურულ მცენარეთა ჯიშებს. ველური მცენარე მოიცავს კულტურულ მცენარეთა ველურ მონათესავე სახეობებს, რომლებიც ენათესავება ამა თუ იმ კულტურულ მცენარეს და/ან აქვთ უნარი გაცვალონ გენები მათთან;

თ) **სოკო** - სოკო, რომელიც არ არის მიღებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ან არ მიეკუთვნება სახეობათა ხელოვნური შეჯვარებით მიღებულ სოკოებს;

ი) **მინისტრი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

კ) **სამინისტრო** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ლ) **სააგენტო** - სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო;

მ) **მდგრადი სარგებლობა** - ბიომრავალფეროვნების კომპონენტებით ისეთი სახით და მოცულობით სარგებლობა, რა დროსაც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში არ იწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას და ხელს უწყობს მის შენარჩუნებას ახლანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებების და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის;

ნ) **სახეობა** – მსგავსი ნიშან-თვისებების მქონე ცოცხალი ორგანიზმების (ველური მცენარეები, გარეული ცხოველები, სოკოები) ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად გამრავლება და ნაყოფიერი შთამომავლობის მოცემა;

ო) **საქმიანობა** - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართებით

გათვალისწინებული საქმიანობა, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს უარყოფითი ზემოქმედება სახეობების პოპულაციებსა და დაცულ ჰაბიტატებზე, ეკოსისტემურ სერვისებსა და ფუნქციებზე და თვითმყოფად ბუნებრივ-კულტურულ ლანდშაფტებზე;

პ) **ეკოსისტემა** – მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა, აგრეთვე მათი გარემომცველი არაცოცხალი გარემოს დინამიკური კომპლექსი, რომელიც მოქმედებს, როგორც ფუნქციური მთლიანობა;

ჟ) **ეკოსისტემური სერვისები** - ადამიანთა კეთილდღეობისათვის ეკოსისტემებიდან მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებელი;

რ) **პოპულაცია** - ერთი სახეობის ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც ბინადრობს გარკვეულ ტერიტორიაზე;

ს) **შინაური ცხოველი** - ცხოველთა სახეობები, რომელთაც წინა თაობების ველური თავისუფალი საარსებო გარემოსგან იზოლაციის ან სელექციის შედეგად, შეცვლილი აქვთ გარკვეული თვისებები, რაც შესაძლებელს ხდის მათ ადამიანებთან თანაარსებობას;

ტ) **ჰაბიტატი** - გარკვეული გეოგრაფიული, აბიოტური და ბიოტური მახასიათებლების მქონე ხმელეთის ან წყლის გარემო, რომელშიც არსებობს სახეობა მისი ბიოლოგიური ციკლის რომელიმე სტადიაზე;

უ) **in-situ კონსერვაცია** - სახეობის დაცვა და აღწარმოება ამ სახეობის ჰაბიტატში;

ფ) **ex-situ კონსერვაცია** - სახეობის დაცვა და აღწარმოება ამ სახეობის ჰაბიტატის გარეთ ხელოვნურ პირობებში;

ქ) **ინტროდუქცია** - საქართველოსთვის უცხო სახეობის ინდივიდების ბუნებაში გაშვება/გავრცელება;

ღ) **რეინტროდუქცია** - სახეობების ბუნებაში აღდგენის ღონისძიება ჯანსაღი, გენეტიკურად მრავალფეროვანი, მდგრადი პოპულაციის ჩამოყალიბების და/ან არსებული პოპულაციის კონსერვაციული სტატუსის გაუმჯობესების მიზნით, რაც გულისხმობს მათ შეყვანას ისტორიულად ცნობილ და მათთვის დამახასიათებელ ბუნებრივ არეალში, სადაც ამ სახეობის არცერთი ინდივიდი აღარ არის შენარჩუნებული ან შემორჩენილია ამ სახეობის ძალზე მცირერიცხოვანი პოპულაცია;

ყ) **ჰიბრიდიზაცია** - გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სხვადასხვა სახეობების, ქვესახეობებისა და ფორმების, ასევე გარეულ და შინაურ ცხოველთა და ველურ და კულტურულ მცენარეთა ერთმანეთთან შეჯვარება, რომლის შედეგადაც მიიღება ჰიბრიდი;

შ) **ტყვეობაში გამრავლებული გარეული ცხოველი** - ამ ცხოველის გასამრავლებლად სპეციალურად მართულ გარემოში ან ხელოვნურ პირობებში

სანაშენე თაობისაგან მიღებული გარეული ცხოველი;

ჩ) **გენეტიკური რესურსის ხელმისაწვდომობა** - გენეტიკური რესურსის გამოყენების მიზნით მისი გარემოდან ამოღების ან სხვაგვარად მოპოვების უფლება;

ც) **წითელი ნუსხა** - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, დროებით ან მუდმივად მობინადრე ყველა სახეობის ჩამონათვალი, რომელშიც მითითებულია მათი მდგომარეობის აღმნიშვნელი კატეგორიები ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხის კატეგორიების შესაბამისად;

ძ) **მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხა** - ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ნუსხა, რომელიც მოიცავს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების ჩამონათვალს რომლებიც საჭიროებენ დაცვას ამ კანონით გათვალისწინებული დაცვის შესაბამისი რეჟიმის საფუძველზე;

წ) **დერივატი** - ველური მცენარის ან გარეული ცხოველის დამუშავებული ნაწილი;

ჭ) **ნაწილი** - გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ნებისმიერი, ადვილად იდენტიფიცირებადი ნაწილი, დაუმუშავებელი ან მარტივად დამუშავებული;

ხ) **ინვაზიური სახეობა** - სახეობა, რომლის ინტროდუქცია ან გავრცელება საფრთხეს უქმნის ან ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე;

ჯ) **უცხო სახეობა** - ცხოველთა, მცენარეთა, სოკოების ან მიკროორგანიზმების სახეობის ან ქვესახეობის ნებისმიერი ცოცხალი ინდივიდი (მათ შორის ამ სახეობების, მათი ჰიბრიდების, ან მათგან გამოყვანილი ჯიშების ნაწილი, თესლი, გამეტა, კვერცხი, რომელიც შეიძლება გამრავლდეს), რომელიც ინტროდუცირებულია მისი ბუნებრივი არეალის მიღმა;

ჰ) **კონსერვაცია** - ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების პოპულაციების შენარჩუნებისა და აღდგენისათვის.

ჰ[1]) **CITES** - ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენცია;

ჰ[2]) **ლანდშაფტი** - ტერიტორია, რომელიც ამგვარად აღქმულია ადამიანის მიერ და რომლის ხასიათიც განპირობებულია ბუნებრივი და/ან ადამიანური ფაქტორების ქმედების და ურთიერთქმედების შედეგად.

ჰ[3]) **გადაუდებელი აუცილებლობა** - შემთხვევა, რომელიც გამოწვეულია კონკრეტულ ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა ან სხვა, მსგავსი მოვლენა), ან ჯანდაცვისა და უსაფრთხოებისათვის ნეგატიური ფაქტორებით, აგრეთვე ისეთი კრიზისული ვითარებით, რომელიც გამომდინარეობს

კატასტროფით, მასშტაბური სამრეწველო ავარიით ან/და ხანძრით.

მუხლი 5. საკუთრების უფლება

1. საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად/დროებით მობინადრე გარეული ცხოველები მათი განვითარების ნებისმიერ სტადიაზე (კვერცხი, ჭუპრი, ემბრიონი და სხვ.), აგრეთვე, საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სახეობების დაცვისა და გენეტიკური რესურსების გამოყენების სამართლებრივ რეგულირებას.

2. ველურ მცენარეზე და სოკოზე საკუთრების უფლება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე უფლებისგან. ველურ მცენარეზე და სოკოზე საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კანონით დადგენილ ფარგლებში.

3. გარეული ცხოველი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ამოღებულია ბუნებრივი საბინადრო გარემოდან, ან გამრავლებულია ტყვეობაში, ან შეძენილია, შეიძლება იყოს კერძო საკუთრების ობიექტი, თუ ობიექტის მფლობელს აქვს სათანადო პირობები მისი ზრდა-განვითარებისათვის და უსაფრთხოდ შენახვისა და მოვლისათვის.

4. დაშვებულია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ იმ გარეული ცხოველების ყოლა, რომლებიც საქართველოში ბუნებრივად არ არიან გავრცელებული, თუ კი დასტურდება გარეული ცხოველების შენახვის სათანადო პირობები და ეს საფრთხეს არ უქმნის მესამე პირებს. თუ გარეული ცხოველი მიეკუთვნება CITES-დანართებში შეტანილ სახეობას, ის აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-8 თავით დადგენილ მოთხოვნებს.

5. უკანონოდ მოპოვებული გარეული ცხოველების, ველური მცენარეების და სოკოების სახეობების უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამოღების/ჩამორთმევის შემთხვევაში ის გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. აღნიშნული სახეობების განთავსების/შენახვის და რეალიზაციის წესებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 6. ბიომრავალფეროვნების დაცვის ძირითადი პრინციპები

ბიომრავალფეროვნების დაცვა ხდება საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობის გათვალისწინებით და შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

ა) უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახეობების საბინადრო გარემოს, ბიოლოგიური ფუნქციის, არსებული ბუნებრივი სტრუქტურების და პროცესების

შენარჩუნება, განვითარება და აღწარმოება;

ბ) დაცული უნდა იქნას სახეობებით მდგრადი სარგებლობის პრინციპი;

გ) სახეობები, მათი საარსებო გარემო, როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილი დაცული უნდა იქნას ბუნებრივი და ისტორიული განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გზით;

დ) ყოველგვარი საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარეულ ცხოველთა სახეობების მდგომარეობაზე, გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოზე, გამრავლების არეალებზე, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელ გზებზე და დასარწყულებელ ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას;

ე) დაგეგმვისა და საქმიანობის პროცესში აუცილებელია ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების გათვალისწინება. დაგეგმვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ბუნებრივი ჰაბიტატების ფრაგმენტაცია, ერთმანეთისგან იზოლირება ან გაქრობა;

ვ) სახეობების ინდივიდებით და ნაწილებით სარგებლობა ფასიანია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა;

ზ) საქმიანობის შედეგად სახეობებისა და ჰაბიტატებისათვის მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების გამოსწორების ვალდებულება ეკისრება უარყოფითი ზემოქმედების გამომწვევს. უარყოფითი ზემოქმედების ფულადი კომპენსირების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მისი აცილებისა და შემცირების შესაძლებლობა.

მუხლი 7. ბიომრავალფეროვნების დაცვის დაგეგმვა

1. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო შეიმუშავებს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

2. სამინისტრო ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმის პროექტს შეიმუშავებს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით და საჯარო განხილვების საფუძველზე და წარუდგენს საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

3. ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდება და განახლდება „ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის“ გლობალური სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით.

5. სავალდებულოა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხის და/ან საჭირო ღონისძიებების და ბიომრავალფეროვნებით მდგრადი სარგებლობის მიზნების ინტეგრირება შესაბამის სახელმწიფო და მუნიციპალურ გეგმებსა და პროგრამებში.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობასა და მათ ქონებაზე გარეული ცხოველების თავდასხმისას ან/და ასეთი საფრთხის აღმოფხვრის მიზნით გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილება ხორციელდება „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

3. მუნიციპალიტეტისათვის, ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით, მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით, 17-ე მუხლის 6-ე პუნქტით, 18-ე მუხლის პირველი პუნქტით და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ახორციელებს სამინისტრო.

თავი II

სახეობების და ჰაბიტატების დაცვა

მუხლი 9. საქართველოს წითელი ნუსხა და მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხა

1. საქართველოს წითელი ნუსხა აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, დროებით ან მუდმივად მობინადრე სახეობების კონსერვაციულ სტატუსს.

2. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხა აღწერს იმ სახეობებისა და ჰაბიტატების ჩამონათვალს, რომელიც საჭიროებს დაცვის შესაბამის სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას.

3. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობებისთვის მკაცრად დაცული და დაცული სახეობის, ხოლო ჰაბიტატებისთვის - დაცული ჰაბიტატის

სტატუსის მინიჭება ხდება ,,საქართველოს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“ შეტანით. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხა შემუშავდება საქართველოს წითელი ნუსხის საფუძველზე.

მუხლი 10. საქართველოს წითელი ნუსხის სტრუქტურა და მისი შემუშავების წესი

1. საქართველოს წითელ ნუსხას შეიმუშავებს საქართველოს წითელი ნუსხის კომისია, რომელიც იქმნება მინისტრის ბრძანებით.

2. საქართველოს წითელი ნუსხა შედგება სახეობათა ძირითადი სისტემატიკური კატეგორიების შესაბამისად დაჯგუფებული ნაწილებისაგან.

3. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი თითოეული სახეობის ან საჭიროების შემთხვევაში სხვა ტაქსონომიური ერთეულის იდენტიფიკაცია უნდა მოიცავდეს სახეობის ან სხვა ტაქსონომიური ერთეულის:

ა) მეცნიერულ სახელწოდებას ქართულ და ლათინურ ენებზე (სახელწოდების განმსაზღვრელის ჩათვლით);

ბ) მდგომარეობის აღმნიშვნელ კატეგორიებს;

გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებით ინფორმაციას.

4. საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების მდგომარეობის აღმნიშვნელი კატეგორიები და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები უნდა შეესაბამებოდეს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ დამტკიცებული წითელი ნუსხის კატეგორიებსა და მათი განსაზღვრის კრიტერიუმებს.

5. საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება დებულებით ,,საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის შესახებ“, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

6. სამინისტრო საქართველოს წითელ ნუსხას განათავსებს შესაბამის ინტერნეტ რესურსებზე.

მუხლი 11. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხის სტრუქტურა და მისი დამტკიცების წესი

1. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხას შეიმუშავებს სამინისტრო.

2. სამინისტრო, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხის შემუშავებისას ითვალისწინებს საქართველოს წითელ ნუსხას, საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლებრივი აქტებით დადგენილ შესაბამის ნუსხებს და საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის რეკომენდაციებს.

3. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხას სამინისტრო წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც ამტკიცებს დადგენილებას ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხის შესახებ“.

4. ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება მოიცავს მკაცრად დაცული სახეობების, დაცული სახეობების, დაცული ჰაბიტატების ნუსხებს (ცალკეული დანართების სახით), სადაც შეტანილი უნდა იქნეს სახეობები, რომლებიც საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით არის კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი, გადაშენების პირას მყოფი ან მოწყვლადი, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს ქვემოთ მითითებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით მკაცრად დაცული და დაცული სახეობები და დაცული ჰაბიტატები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოში, ამ სახეობების საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის შესაბამისად:

ა) ბერნის 1979 წლის 19 სექტემბრის ,,ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით“ (შემდგომში - ბერნის კონვენცია) მკაცრად დაცული და დაცული სახეობები და ჰაბიტატები ბერნის კონვენციის რატიფიცირების დროს საქართველოს დათქმების გათვალისწინებით;

ბ) ევროკავშირის დირექტივებით მკაცრად დაცული და დაცული სახეობები და დაცული ჰაბიტატები;

გ) „ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ“ კონვენციით და ამ კონვეციის ფარგლებში მიღებული ხელშეკრულებებით მკაცრად დაცული და დაცული სახეობები;

დ) ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შედგენილი, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელი ნუსხა.

5. დაცული ჰაბიტატების ნუსხაში შესაძლებელია ასევე შეტანილი იქნეს ჰაბიტატები, რომელთა დაცვა მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე და რომლებიც არ არის შეტანილი ბერნის კონვენციის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალში ან კონსერვაციისათვის სპეციალური ადგილების ჩამონათვალში (ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 92/43/EEC).

6. სახეობებზე, რომლებიც არ არის შეტანილი მკაცრად დაცულ და დაცულ სახეობათა ნუსხაში, არ ვრცელდება დაცვის სპეციალური რეჟიმი. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, სამინისტროს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დროებით შეიზღუდოს ასეთი სახეობების ინდივიდებით სარგებლობა და დაწესდეს დამატებითი მოთხოვნები, „გარეულ ცხოველთა, ველურ მცენარეებისა და სოკოების გარემოდან

ამოღებისა და სარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

7. სახეობებისა და ჰაბიტატების ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხაში“ შეტანის დამატებით კრიტერიუმებს ადგენს ,,საქართველოს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების სტატუსის მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ დებულება, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 12. ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით საერთო სარგებლობა

1. საერთო სარგებლობა გულისხმობს ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების გამოყენებას გარემოდან ამოღების გარეშე ან გარემოდან ამოღებით მოქალაქეთა პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.გ

2. საერთო სარგებლობა არ ვრცელდება:

ა) „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“ შეტანილ სახეობებზე;

ბ) გარეულ ფრინველთა სახეობებზე;

გ) მერქნიან მცენარეებზე (გარდა არამერქნული რესურსები, მერქნიანი მცენარეების პროდუქტები და ფიჩხი);

დ) CITES და ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებზე;

ე) ნადირობისა და თევზჭერის სახეობების ინდივიდებზე (გარდა შავ ზღვაში სანაპირო, რეკრეაციული, სამოყვარულო და სპორტული მიზნით, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით, პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერისა);

ვ) ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობაზე.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ველური მცენარეებით, სოკოებით და გარეული ცხოველებით საერთო სარგებლობა უფასოა და არ საჭიროებს ნებართვას/ლიცენზიას.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული საერთო სარგებლობის უფლება არ ვრცელდება კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე ველური მცენარეების, სოკოების და გარეული ცხოველების გამოყენებაზე.

მუხლი 13. გარეულ ფრინველთა სახეობების დაცვა

1. გარეულ ფრინველთა ყველა სახეობასთან მიმართებით, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით, აკრძალულია:

ა) განზრახ მოკვლა ან დატყვევება;

ბ) ბუდეების განზრახ განადგურება მაშინაც კი, როდესაც ის ცარიელია ან მიტოვებულია;

გ) კვერცხის განზრახ განადგურება/დაზიანება;

დ) კვერცხის შეგროვება და შენახვა:

ე) განზრახ შეწუხება, განსაკუთრებით მათი გამრავლების პერიოდში;

ვ) საერთო სარგებლობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება მკაცრად დაცული სახეობების ფრინველთა გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ცალკეული სახეობების ან სახეობათა ჯგუფების კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) სახეობის გადარჩენის და პოპულაციის აღდგენის მიზნით, მათ შორის ზოოლოგიურ კოლექციებში, გარდა პირადი ზოოლოგიური კოლექციებისა;

გ) მისი შემდგომი სარგებლობისათვის ტყვეობაში გამრავლების მიზნით, კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) მოსავალზე, შინაურ პირუტყვზე, ტყეზე, თევზჭერაზე/თევზის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე, ინფრასტრუქტურაზე და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით;

ე) ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;

ვ) საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების მიზნებისთვის;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის;

თ) ცალკეული დაზიანებული ინდივიდის გადარჩენის მიზნით;

ი) სანიტარული (დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების) მიზნით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება დაცული სახეობების გარეულ ფრინველთა გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) საგანმანათლებლო მიზნებისთვის;

გ) ფრინველის სანადირო და მონადირე დამჭერ (ბაზი) სახეობებზე.

4. გარეულ ფრინველთა სანადირო სახეობები და მონადირე დამჭერი ფრინველები (ბაზი), რომლებზეც ნადირობა ან რომელთა დატყვევება ნებადართულია, განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. დაუშვებელია გარეული ფრინველის მკაცრად დაცულ სახეობას მიენიჭოს სანადირო სახეობის ან მონადირე დამჭერი ფრინველის (ბაზი) სტატუსი.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე გადაწყვეტილება (გარდა მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა) მიიღება სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული გადაწყვეტილება მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ფრინველების გარემოდან ამოღების თაობაზე უნდა მოიცავდეს:

ა) სახეობის ქართულ და სამეცნიერო (ლათინურ) დასახელებას, რომლის მოპოვებაც დაიშვა გამონაკლისის სახით;

ბ) ფრინველის დაჭერის და მოკვლის ნებადართულ საშუალებებს და/ან მეთოდებს;

გ) ინფორმაციას, იმის შესახებ, თუ სად და რა ვადებში იქნა გამონაკლისი დაშვებული;

დ) ინფორმაციას გასატარებელი კონტროლის ღონისძიებების შესახებ.

7. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“, ,,ე“, ,,ვ“ და ,,თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ფრინველების გარემოდან ამოღება ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების გარეშე. დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს გონივრულ ვადაში შეატყობინოს სათანადო ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამუშაოებზე, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე. ინფრასტრუქტურული პროექტების საზოგადოებრივი მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე აქტით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე.

შენიშვნა: გარეული ფრინველები მიეკუთვნება გარეულ ცხოველებს, თუმცა ამ კანონის მიზნებისთვის მათი გამოყოფა და ცალკე მოწესრიგება გამოწვეულია გარეულ ფრინველთა დაცვის განსხვავებული მოთხოვნებით.

მუხლი 14. გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვა

1. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების გარეული ცხოველების მიმართებით, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით, აკრძალულია:

ა) განზრახ მოკვლა ან დატყვევება;

ბ) განზრახ შეწუხება, განსაკუთრებით გამრავლების, ზამთრის ძილის ან მიგრაციის პერიოდში;

გ) კვერცხის/ქვირითის განზრახ განადგურება/დაზიანება;

დ) კვერცხის/ქვირითის შეგროვება და შენახვა;

ე) საბინადრო გარემოს, გამრავლების/დასვენების ადგილების, ბუნაგების, სოროების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, დასარწყულებელი ადგილების განადგურება, მათ შორის მიგრირებადი სახეობების შემთხვევაში - მთლიანი სამიგრაციო გზის გასწვრივ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება მკაცრად დაცული სახეობების გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ცალკეული სახეობების ან სახეობათა ჯგუფების კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) სახეობის გადარჩენის და პოპულაციის აღდგენის მიზნით, მათ შორის ზოოლოგიური კოლექციებში *ex-situ* კონსერვაციის მიზნით, გარდა პირადი ზოოლოგიური კოლექციებისა;

გ) ტყვეობაში გამრავლება მისი კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) მოსავალზე, შინაურ პირუტყვზე, ტყეზე, თევზჭერა/თევზის მეურნეობაზე, წყლის რესურსებზე, ინფრასტრუქტურაზე და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით;

ე) ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;

ვ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის;

ზ) ცალკეული დაზიანებული ინდივიდის გადარჩენის მიზნით;

თ) სანიტარული (დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების) მიზნით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება დაცული სახეობების გარეულ ცხოველთა გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) საგანმანათლებლო მიზნებისთვის;

გ) ნადირობა/თევზჭერა კანონით გათვალისწინებულ სახეობებზე.

4. ცხოველთა სახეობები, რომლებზეც ნადირობა/თევზჭერა ან რომელთა დატყვევება ნებადართულია, განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. დაუშვებელია გარეული ცხოველის მკაცრად დაცულ სახეობას მიენიჭოს სანადირო სახეობის/თევზჭერის ობიექტის სტატუსი, ასევე დაცული სახეობის თევზის სარეწაო

მიზნით მოპოვება.

5. აკრძალულია მცირე ვეშაპისნაირთა გარემოდან ამოღება, გარდა სამინისტროს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე სამეცნიერო მიზნით მოპოვებისა, რომელიც გაიცემა სათანადო დასაბუთების საფუძველზე და ხორციელდება სამინისტროს კონტროლით.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, გარდა მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და გარეულ ცხოველთა რაოდენობრივი რეგულირების წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ცხოველების გარემოდან ამოღების თაობაზე უნდა მოიცავდეს:

ა) სახეობის ქართულ და სამეცნიერო (ლათინურ) დასახელებას და ინდივიდების ოდენობას, რომლის მოპოვებაც დაიშვა გამონაკლისის სახით, ასევე, გამონაკლისის დაშვებისა და ალტერნატივის არარსებობის დასაბუთებას, შესაბამის მეცნიერულ საფუძველს;

ბ) ცხოველის დაჭერის და მოკვლის ნებადართულ საშუალებებს და/ან მეთოდებს და ლიმიტებს;

გ) გამონაკლისის დაშვების ადგილმდებარეობას (არეალს), ვადებს და ლიმიტებს;

დ) ორგანოს, რომელიც ვალდებულია განახორციელოს გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი;

ე) პირს, რომლის მიერაც განხორციელდება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახეობის ინდივიდის გარემოდან ამოღება.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამუშაოებზე, გარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობისა. ინფრასტრუქტურული პროექტების საზოგადოებრივი მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე აქტით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე.

9. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ“, ,,ე“, ,,ზ“ და ,,თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ცხოველების გარემოდან ამოღება ამ მუხლის მე-6 მუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების გარეშე. დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს გონივრულ ვადაში შეატყობინოს სათანადო ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

10. გარეული ცხოველებით სარგებლობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის მე-

9 თავის შესაბამისად გაცემული ,,საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების გამოყენების ნებართვის“ საფუძველზე, არ საჭიროებს დამატებით ნებართვას/ლიცენზიას.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ნებართვა არ ათავისუფლებს მის მფლობელს გარეული ცხოველებით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

მუხლი 15. გარეული ცხოველის, რომელიც არ არის მკაცრად დაცული ან დაცული სახეობის გარემოდან ამოღება

1. დასაშვებია გარეული ცხოველების (გარდა ნადირობის და თევზჭერის სახეობებისა) გარემოდან ამოღება შემდგომი სარგებლობისთვის ტყვეობაში გამრავლების მიზნით ან/და კომერციული სარგებლობის (გადამუშავების, რეალიზაციის, ექსპორტის და სხვ.) მიზნით, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში გარეული ცხოველების გარემოდან ამოღება ხდება „გარეულ ცხოველთა, ველურ მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამოღებისა და სარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნების დაცვით, სააგენტოს მიერ წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გაცემული თანხმობის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის საფუძველზე“.

მუხლი 16. ველური მცენარეებისა და სოკოების სახეობების დაცვა

1. აკრძალულია მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების და მათი ნაწილების გარემოდან ამოღება და დაზიანება, მათ შორის სარგებლობა მერქნის მოპოვების მიზნით, გარდა ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება მკაცრად დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების ან/და მათი ნაწილების გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) გარემოდან ამოღება სანერგე ან/და პლანტაციური მეურნეობის ფარგლებში;

ბ) ცალკეული სახეობების ან სახეობათა ჯგუფების კონსერვაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) გასამრავლებად/აღსადგენად და ბუნებრივ პირობებში გასაშენებლად (მხოლოდ მცენარეთა თესლების, კალმების და სხვა გასამრავლებელი მასალის);

დ) ბოტანიკურ ბაღებში *ex-situ* კონსერვაციის მიზნით;

ე) სამეურნეო მიზნით ხელოვნურ პირობებში გასაშენებლად (მხოლოდ მცენარეთა თესლების, კალმების და სხვა გასამრავლებელი მასალის);

ვ) სამეცნიერო ან/და კვლევითი მიზნებისათვის;

ზ) შენობა-ნაგებობების, აგრეთვე, ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების და სხვა სახის საკუთრებაზე მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილების მიზნით;

თ) ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით;

ი) სანიტარული მიზნებისთვის;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების შემდეგ შემთხვევებზე:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევები;

ბ) საგანმანათლებლო მიზნით სარგებლობა;

გ) სატყეო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი აკრძალვა არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.

5. დასაშვებია მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ბუნებრივად მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტი, ზეხმელი მერქნიანი მცენარეების გარემოდან ამოღება, მათ შორის დაცულ ტერიტორიებზეც (მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, აღკვეთილის გარკვეულ უბნებზე, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე).

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით, მე-3 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნტებით, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ტყის ტერიტორიის გარეთ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მიიღება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების, ხოლო მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტით, მე-3 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნტებით და ამ მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ტყის და დაცულ ტერიტორიაზე მიიღება ტერიტორიის მართვის ორგანოს მიერ.

8. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მცენარის გარემოდან ამოღება ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების გარეშე. დაინტერესებული პირი ვალდებულია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს გონივრულ ვადაში შეატყობინოს სათანადო ღონისძიების განხორციელების თაობაზე.

9. ამ მუხლით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება „საქართველოს ტყის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის და დაცული ტერიტორიების სიტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 2^6 პუნქტის „ა“, „ბ“, „ე“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის შემთხევაში.

10. CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების ინდივიდების ხელოვნურად მოშენება კერძო მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე და მათი შემდგომ მოპოვება ექსპორტის მიზნით წესრიგდება ამ კანონის მე-8 თავით.

11. ველური მცენარეებით სარგებლობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის მე-9 თავის შესაბამისად გაცემული ,,საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების გამოყენების ნებართვის“ საფუძველზე, არ საჭიროებს დამატებით ნებართვას/ლიცენზიას.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნული ნებართვა არ ათავისუფლებს მის მფლობელს ველური მცენარეებით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

მუხლი 17. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეებისა და სოკოების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას

1. ამ კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას, დასაშვებია მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღება ამ მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად ექვემდებარება გარემოზე

ზემოქმედების შეფასებას, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების გარემოდან ამოღების აუცილებლობის დასაბუთებას და სახეობების ინდივიდების აღრიცხვის ანგარიშს (ჩამონათვალი, ოდენობები, დასკვნა მდგომარეობის შესახებ).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების უფლება ენიჭება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით.

4. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების დასაშვებობის საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ სკრინინგის პროცედურის შედეგად დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეების და სოკოების გარემოდან ამოღების პირობები უნდა დადგინდეს ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

5. მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, რომელიც არ ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლას, ველურ მცენარეთა მკაცრად დაცული და დაცული სახეობების მერქნიანი მცენარეების გარემოდან ამოღების დასაშვებობა დგინდება ამ კანონის 105-ე მუხლით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ერთი ფანჯრის პრინციპით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

6. სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ისეთი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, რომელიც არ ექვემდებარება ნებართვის გაცემას, მკაცრად დაცული და დაცულის სახეობების მცენარეების გარემოდან ამოღების გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი საკუთარი/დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

7. ამ კანონის მე-10 თავით გათვალისწინებული საკომპენსაციო ღონისძიებები ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დგინდება გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების პირობებით, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისიწნებული გადაწყვეტილებების პირობებით.

8. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეებისა და სოკოების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღების უფლების მინიჭების, საკომპენსაციო საფასურის განსაზღვრისა და გადახდის, ასევე, გარემოდან ამოღების შემდგომ მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ველური მცენარეებისა და სოკოების ან მათი ნაწილების განკარგვის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „გარეულ ცხოველთა, ველურ მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამოღებისა და სარგებლობის წესის შესახებ“.

9. ამ მუხლის მიზნებისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების საზოგადოებრივი მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე აქტით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე.

მუხლი 18. სახეობების ველური მცენარეებისა და სოკოების ან მათი ნაწილების გარემოდან ამოღება, რომელიც არ არის მკაცრად დაცული და დაცული სახეობა

1. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთზე იმ მერქნიანი მცენარეების, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“, გარემოდან ამოღების გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტი საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე მერქნიანი მცენარეების, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“, გარემოდან ამოღების საკითხი წესრიგდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანონქვემდებარე აქტით.

3. იმ ველური მცენარეების (გარდა მერქნიანი მცენარეებისა) და სოკოების რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“ გარემოდან ამოღება ხელოვნურ პირობებში გაშენების ან/და კომერციული სარგებლობის (გადამუშავების, რეალიზაციის, ექსპორტის და სხვ.) მიზნით, რეგულირდება შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი უფლებამოსილების (საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე) ფარგლებში ან დელეგირებული უფლებამოსილების (სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე) ფარგლებში.

4. საქართველოს ტყის ტერიტორიაზე მერქნიანი და არამერქნული მცენარეების, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“, გარემოდან ამოღების გადაწყვეტილებას იღებს ტყის მართვის ორგანო.

5. საქართველოს ტყის გარეთ მერქნული რესურსების ტრანსპორტირება ხდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის საფუძველზე, რომლის გაცემის წესი დგინდება „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტით“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მერქნიანი სახეობების მცენარეების, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“, გარემოდან ამოღების და განკარგვის დაწესებს ადგენს შესაბამისი მონიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 19. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების ფლობა, ტრანსპორტირება და ყიდვა-გაყიდვა

1. დაუშვებელია მკაცრად დაცული და დაცული სახეობის ინდივიდების (ცოცხალის, არაცოცხალის) ან მათი ნაწილების ფლობა, ტრანსპორტირება ან ყიდვა-გაყიდვა ამ კანონის საფუძველზე ან ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული შესაბამისი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული მკაცრად დაცული და დაცული სახეობის ინდივიდები (ცოცხალი ან არაცოცხალი) ან მათი ნაწილები ექვემდებარება რეგისტრაციას. რეგისტრაციის წესი და ვადები დგინდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 20. გარეულ ცხოველთა დაცვა მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა პრეპარატების გამოყენებისას

1. სოფლის და სატყეო მეურნეობებში მცენარეთა დაცვის საშუალებების, ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქების და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული პრეპარატების გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს გარეული ცხოველებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის მოთხოვნები. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება, ცხოველებზე მათი მავნე გავლენის შემცირების მიზნით, შეხამებული უნდა იყოს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებათა განხორციელებასთან, რაც გულისხმობს აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა მეთოდების კომბინაციას, რომელიც მიმართულია მავნე ორგანიზმების (მავნებლები, დაავადებები, სარეველები) არა ტოტალური მოსპობის, არამედ, მათი რიცხოვნობის მართვის და ბუნებაში არსებული აგროცენოზების შემადგენელი კომპონენტების შენარჩუნებისაკენ, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით.

2. გარეულ ცხოველთა დაღუპვისა და მათი საბინადრო გარემოს გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულები არიან

დაიცვან მცენარეთა დაცვის საშუალებების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების კანონმდებლობით დადგენილი წესები.

3. ველურ მცენარეთა დაცვისათვის ახალი პრეპარატების შექმნისას კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა შემუშავდეს გარემოში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციისა და გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს გამრავლების არეალების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და სარწყულებელი ადგილების დაცვას.

4. ველურ მცენარეთა დაცვის საშუალებების, ზრდის სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებელი ყველა სახის სხვა პრეპარატების გამოყენების წესები, აგრეთვე აღნიშნული პრეპარატების ნუსხის განსაზღვრასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 21. გარეულ ცხოველთა ინტროდუქცია, რეინტროდუქცია და ჰიბრიდიზაცია

1. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოში თვითნებური რეინტროდუქცია და საქართველოს ცხოველთა სახეობებისათვის უცხო სახეობების ინტროდუქცია აკრძალულია, გარდა იმ სახეობებისა, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხის სახეობების ინდივიდების რეინტროდუქცია ხორციელდება კონსერვაციის გეგმის შესაბამისად.

3. გარეულ ცხოველთა ჰიბრიდიზაცია დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო მიზნებისთვის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებათა დასკვნების საფუძველზე, სამინისტროსგან სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი კომპეტენტური სამსახურის მიერ. გარეულ ცხოველთა ჰიბრიდაზაციის წესს ამტკიცებს მინისტრი.

4. ჰიბრიდული ფორმების ბუნებაში გაშვება აკრძალულია, გარდა იმ ინდივიდებისა, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის მიზნით.

მუხლი 22. ველურ მცენარეთა ინტროდუქცია, რეინტროდუქცია და ჰიბრიდიზაცია

1. ველური მცენარეების და სოკოების სახეობების ბუნებრივ გარემოში აღდგენისთვის (რეინტროდუქცია) პრიორიტეტული სახეობები განისაზღვრება

სახეობების აღდგენის ეროვნული გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. აკრძალულია საქართველოს მცენარეთა სამყაროსთვის უცხო ინვაზიური სახეობების ინდივიდების ინტროდუქცია და გაშენება ბუნებრივ გარემოში, მათ შორის, ტყეში და დაცულ ტერიტორიებზე.

3. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ნუსხის სახეობების ინდივიდების რეინტროდუქცია ხორციელდება კონსერვაციის გეგმის შესაბამისად.

4. ველურ მცენარეთა ჰიბრიდიზაცია დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო მიზნებისთვის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებათა დასკვნების საფუძველზე, სამინისტროსგან სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი კომპეტენტური სამსახურის მიერ. ველურ მცენარეთა ჰიბრიდაზაციის წესს ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 23. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი

1. სახეობების, მათი საბინადრო გარემოს დაცვისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად იქმნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიზანია ქვეყნის ბიომრავალფეროვნების (მათ შორის ცალკეული სახეობებისა და ჰაბიტატების) მდგომარეობის შეფასება, ცვლილებებისა და ტენდენციების, მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, შესაბამისი პოლიტიკისა და რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვისთვის.

3. მონიტორინგისათვის პრიორიტეტული სახეობები და ჰაბიტატებია მკაცრად დაცული და დაცული სახეობები და დაცული ჰაბიტატები.

4. სამინისტრო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით სამთავრობო, არასამთავრობო, კვლევითი, საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან, აგრეთვე, კერძო პირებისაგან გამოითხოვოს ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განსახორციელებლად.

5. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება დებულებით „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ“, რომელსაც სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 24. სახეობების და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

1. სახეობების და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა ხორციელდება

ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე.

2. სახეობების და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:

ა) ბუნებრივ პირობებში სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება;

ბ) სახეობათა საბინადრო გარემოს, გარეულ ცხოველთა გამრავლების არეალების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დაცვა.

3. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების დაცვის, შენარჩუნების, აღდგენისა და მათი საბინადრო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მუშავდება ცალკეული სახეობების ან სახეობათა ჯგუფების კონსერვაციის სამოქმედო გეგმები, რომელთა სტრუქტურა და დამტკიცების წესი განისაზღვრება დებულებით ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების კონსერვაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

4. კონკრეტული სახეობის ან სახეობათა ჯგუფის კონსერვაციის გეგმას შეიმუშავებს სააგენტო და მტკიცდება მინისტრის ბრძანებით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

5. გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების სახეობების ბუნებრივ გარემოში აღდგენისთვის პრიორიტეტული სახეობები და აღდგენის ღონისძიებები განისაზღვრება სახეობების აღდგენის ეროვნული გეგმის საფუძველზე, რომელსაც სააგენტოს ჩართულობით შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 25. საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის შექმნის წესი

1. ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შექმნილ საქართველოს წითელი ნუსხის კომისიაში შეიძლება შეყვანილ იქნას მხოლოდ შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ექსპერტი.

2. საქართველოს წითელი ნუსხის კომისია მინისტრს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებას საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა და სოკოების ამა თუ იმ სახეობის ან ჰაბიტატის მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში შეტანის ან ნუსხიდან ამოღების თაობაზე. აღნიშნული წინადადება შეიძლება, ასევე, წარადგინოს ფიზიკურმა პირმა ან იურიდიულმა პირმა მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი

მოწყობის ფორმისა. ამგვარი წინადადება უშუალოდ წარედგინება აღნიშნულ კომისიას.

3. საქართველოს წითელი ნუსხის კომისია გადაწყვეტილებას ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში“ სახეობის ან ჰაბიტატის დამატების ან ნუსხიდან ამოღების შესახებ იღებს იმავე წესების დაცვით, რაც დადგენილია სახეობის ან ჰაბიტატის აღნიშნულ ნუსხაში შეტანაზე.

4. საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის წევრების საქმიანობა ხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე. კომისიების უფლებამოსილება, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 26. ველური მცენარეების პლანტაციური მეურნეობა და გარეული ცხოველების ტყვეობაში გამრავლება

1. ველური მცენარეების მერქნული და არამერქნული რესურსების მოპოვების მიზნით დასაშვებია პლანტაციური მეურნეობის მოწყობა.

2. ველური მცენარეების პლანტაციური მეურნეობების რეგისტრაცია ხდება სამინისტროში დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია მიწინ ნაკვეთის საკუთრების, ფართობის მდებარეობის, მისი საზღვრების, მოსაშენებელ სახეობათა და მათი რაოდენობის შესახებ.

3. გარეული ცხოველების ხელოვნურად გამრავლების მიზნით დასაშვებია საშენი მეურნეობის მოწყობა. საშენი მეურნეობის რეგისტრაცია ხდება სამინისტროში დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ინფორმაცია ფართობის მდებარეობის, მისი საზღვრებისა, მოსაშენებელ სახეობათა და მათი რაოდენობის შესახებ.

4. გარეული ცხოველი მიიჩნევა ტყვეობაში გამრავლებულად, თუ ის არის ამ კანონის შესაბამისად მიღებული სანაშენე თაობის შთამომავალი.

მუხლი 27. ველურ მცენარეთა პლანტაციური მეურნეობის და გარეულ ცხოველთა ტყვეობაში გამრავლების მეურნეობების რეესტრი

1. ველურ მცენარეთა პლანტაციური მეურნეობის და გარეულ ცხოველთა ტყვეობაში გამრავლების მეურნეობების რეესტრი (შემდგომში - რეესტრი) იწარმოება სააგენტოს მიერ.

2. რეესტრში მეურნეობების შეტანის საფუძველია პირის წერილობითი განცხადება. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: მოსაშენებელი სახეობის ქართული და ლათინური დასახელება, სანაშენე თაობის რაოდენობა, მეურნეობის ადგილმდებარეობა და წარმადობა. განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის

იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში – მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტები.

3. რეესტრი იწარმოება ,,ველურ მცენარეთა პლანტაციური მეურნეობის და გარეულ ცხოველთა სახეობების ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების მეურნეობების რეესტრის წარმოების და გარეული ცხოველების მარკირების წესის შესახებ“ დებულებით დადგენილი წესების დაცვით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 28. სახეობების და ჰაბიტატების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

სახეობების და ჰაბიტატების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, საქართველოს ტყის ტერიტორიაზე, აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის სატყეო სააგენტო, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრეთვე, შესაბამისი მუნიციპალური მართვის ორგანო.

მუხლი 29. თმენის ვალდებულება

1. ამ კანონის საფუძველზე სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიების განხორციელების მიზნით შესაძლებელია განისაზღვროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან მფლობელის ვალდებულება, ითმინოს ასეთი ღონისძიებით გამოწვეული შეზღუდვები იმ ვადით და მოცულობით, რაც აუცილებელია დაცვის ღონისძიებების მიზნებიდან გამომდინარე.

2. თუ სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის ღონისძიების განხორციელება ამცირებს მიწის ნაკვეთის ღირებულებას ან მისაღები სარგებლის მოცულობას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს დანაკარგის ფინანსური კომპენსირება. კომპენსაციის მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით.

თავი III
ზურმუხტის ქსელი

მუხლი 30. ამ თავის მოწესრიგების მიზანი

1. ეს თავი ადგენს ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის (შემდგომში - ბერნის კონვენციის) დანართებში შეტანილი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის და ევროპის გაერთიანების 2009/147/EC დირექტივის (შემდგომში - ფრინველთა დირექტივის) დანერგვის მიზნით საქართველოში სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელის (ზურმუხტის ქსელი) შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნების მიზანი გათვალისწინებული უნდა იქნას ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალურ დონეზე დაგეგმვის პროცესში.

3. ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და იმ მახასიათებლების შენარჩუნებას, რომლებიც მნიშვნელოვანია იმ სახეობებისათვის, რომელთა კონსერვაციის მიზნით ტერიტორიას მიენიჭა ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსი.

მუხლი 31. სტატუსის მინიჭება

1. ზურმუხტის ქსელი შედგება ზურმუხტის ტერიტორიებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფს ბერნის კონვენციით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიანი სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნებას. ზურმუხტის ტერიტორია ასევე მოიცავს ფრინველთათვის სპეციალურად დაცულ უბნებს.

2. ბერნის კონვენციის და ფრინველთა დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, ზურმუხტის ქსელში ჩართულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული სახეობების არეალების ის ნაწილი, რაც უზრუნველყოფს ამ ჰაბიტატისა და მისთვის დამახასიათებელი სახეობების კონსერვაციის გრძელვადიანი სახარბიელო სტატუსის შენარჩუნებას.

3. კანონის ამ თავის მიზნებისთვის სახეობის კონსერვაციული სტატუსი გულისხმობს სახეობებზე ზემოქმედებების ერთობლიობას, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს გრძელვადიან პერიოდში მისი პოპულაციების გავრცელებასა და რიცხოვნობაზე. სახეობების კონსერვაციული სტატუსი სახარბიელოდ იქნება მიჩნეული თუ:

ა) სახეობის პოპულაციის დინამიკა გვიჩვენებს, რომ გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული სახეობა თავისი ბუნებრივი ჰაბიტატის სიცოცხლისუნარიან კომპონენტად რჩება;

ბ) სახეობის ბუნებრივი არეალი არ მცირდება და სავარაუდოდ, არც შემცირდება პროგნოზირებად მომავალში;

გ) ამჟამად არსებობს და სავარაუდოდ მომავალშიც იარსებებს საკმარისად დიდი ჰაბიტატი, რომელსაც გრძელვადიან პერიოდში მისი პოპულაციების შენარჩუნება შეუძლია.

4. კანონის ამ თავის მიზნებისთვის ჰაბიტატის კონსერვაციული სტატუსი გულისხმობს ჰაბიტატებსა და მისთვის დამახასიათებელ ტიპურ სახეობებზე ზემოქმედებების ერთობლიობას, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გრძელვადიან პერიოდში მის გავრცელებაზე, სტრუქტურასა და ფუნქციებზე, ასევე, ამ ჰაბიტატისათვის დამახასიათებელი სახეობების გრძელვადიან გადარჩენაზე. ჰაბიტატების კონსერვაციული სტატუსი სახარბიელოდ იქნება მიჩნეული თუ:

ა) მისი ბუნებრივი არეალი სტაბილურია ან ფართოვდება;

ბ) არსებობს და, სავარაუდოდ, პროგნოზირებად მომავალშიც იარსებებს მისი გრძელვადიანი შენარჩუნებისათვის საჭირო სპეციფიკური სტრუქტურა და ფუნქციები;

გ) მისთვის დამახასიათებელი ტიპური სახეობების კონსერვაციული სტატუსი სახარბიელოა.

5. ტერიტორია, რომელსაც ენიჭება ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსი, შესაძლებელია, ამასთანავე, წარმოადგენდეს ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაარსებულ (შექმნილ) დაცულ ტერიტორიას და/ან საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართულ ტერიტორიას.

6. ზურმუხტის ტერიტორია შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპლაიტეტის ან კერძო საკუთრებაში.

მუხლი 32. ზურმუხტის ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმები

ზურმუხტის ტერიტორიები შეირჩევა შესაბამისი სამეცნიერო შეფასების საფუძველზე, შემდეგი სულ მცირე ერთი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

ა) ტერიტორიას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის;

ბ) ტერიტორია ხასიათდება ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული სახეობების დიდი მრავალფეროვნებით და ხელს უწყობს მათი მნიშვნელოვანი რაოდენობის შენარჩუნებას ან ერთი ან რამდენიმე სახეობის მნიშვნელოვანი

პოპულაციის შენარჩუნებას;

გ) ტერიტორია მოიცავს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცულ ჰაბიტატს;

დ) ტერიტორია მოიცავს ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული კონკრეტული ჰაბიტატის განსაკუთრებულ ნიმუშს ან სხვადახვა ჰაბიტატების ტიპების მოზაიკას;

ე) ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან ადგილს ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული ერთი ან რამდენიმე მიგრირებადი სახეობისათვის;

ვ) ტერიტორიას, სხვა (გარდა ზემოთჩამოთვლილისა) მახასიათებლების გათვალისწინებით შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ბერნის კონვენციით და ფრინველთა დირექტივით დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნებაში.

მუხლი 33. ზურმუხტის ტერიტორიების დამტკიცება/სტატუსის შეცვლა

1. პოტენციური ზურმუხტის ტერიტორიების გამოვლენას, შერჩევას და ბერნის კონვენციის სამდივნოსთვის მათი შეფასებისა და სტატუსის მინიჭებისათვის წარდგენას უზრუნველყოფს სამინისტრო.

2. სამინისტროს მიერ ბერნის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული წინადადება შერჩეული ტერიტორიების ზურმუხტის ქსელში ჩართვის თაობაზე საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ეგზავნება ბერნის კონვენციის სამდივნოს.

3. საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიების ზურმუხტის ქსელში ჩართვის შესახებ ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებას ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიების ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვის და მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის.

4. ტერიტორიისთვის ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მოხსნა/მოდიფიცირება ხდება იმავე პროცედურების დაცვით, რაც გათვალისწინებულია სტატუსის მოპოვებისათვის. სამინისტროს მიერ მომზადებული შუამდგომლობა უნდა აკმაყოფილებდეს ბერნის კონვენციის მიერ დადგენილ სტანდარტულ მოთხოვნებს, რომელშიც უნდა აისახოს დასაბუთება, თუ რატომ ვეღარ ხორციელდება სახეობის/ჰაბიტატის დაცვა. ტერიტორიისთვის სტატუსის გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულია, რომ სხვა ტერიტორიების დაცვით მიიღწევა შესაბამისი სახეობების/ჰაბიტატების სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი.

მუხლი 34. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

1. თუ ტერიტორიისთვის ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მინიჭება შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ფუნქციური დანიშნულებით, მესაკუთრე უფლებამოსილია, საკუთრების უფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ვრცელდება ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების შემთხვევაზე.

მუხლი 35. ზურმუხტის ტერიტორიის მართვა

1. ზურმუხტის ტერიტორიის მართვის კოორდინაციას და კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

2. ზურმუხტის ტერიტორიის მართვა ხორციელდება მართვის გეგმის საფუძველზე. მართვის გეგმა უნდა დამტკიცდეს საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიების ზურმუხტის ქსელში ჩართვის შესახებ ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 6 წლისა.

3. მართვის გეგმით უნდა განისაზღვროს სპეციალური ღონისძიებები იმ სახეობებისა და ჰაბიტატებისათვის, რომელთა კონსერვაციის მიზნით ტერიტორიას მიენიჭა ზურმუხტის ტერიტორიის სტატუსი, აგრეთვე მონიტორინგის პროგრამა და ბიუჯეტი მათი განხორციელებისათვის. ზურმუხტის ტერიტორიის მართვის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და დამტკიცების წესი განისაზღვრება დებულებით „საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ“, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის ტერიტორია იმავდროულად წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ დაცულ ტერიტორიას ან საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ტყეს, იგი იმართება ამ ტერიტორიის მართვის გეგმით, რომელშიც დამატებით განისაზღვრება ზურმუხტის ტერიტორიის კონსერვაციული მიზნები და მათ მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებები ან/და შეზღუდვები.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ტერიტორია არ არის ამ მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებული კატეგორიის ტერიტორია, მისი მართვა ხორციელდება ამ

ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელი სუბიექტის მიერ ტერიტორიის მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. კერძო მესაკუთრის შემთხვევაში ზურმუხტის ტერიტორიის მართვის გეგმას სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მართვის გეგმით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიებების განხორციელებისათვის გაწეული ფინანსური ხარჯების დაფინანსების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი.

7. კერძო მესაკუთრის მიერ მართვის გეგმით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიებების განხორციელებისათვის გაწეული ფინანსური ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

8. ზურმუხტის ტერიტორიის მართვის საკითხები წესრიგდება დებულებით „საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ,, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 36. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება

1. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება ზურმუხტის ტერიტორიის მართვას, ან მისთვის პირდაპირ საჭიროებას არ წარმოადგენს, მაგრამ შესაძლოა ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან ან პროექტებთან ერთობლიობაში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს მასზე, ექვემდებარება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

2. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების მიზანია დადგინდეს, რა ზემოქმედებას მოახდენს საქმიანობის განხორციელება ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებზე და/ან სახეობებზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის პროცედურის ფარგლებში უნდა დადგინდეს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. თუ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ეს შეფასება უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს. ეს ვალდებულება არ გამორიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე ან სკოპინგის ანგარიშთან ერთად წარმოადგინოს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება.

4. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას და სკრინინგის პროცედურის შედეგად არ გამოირიცხა საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებობა, საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საქმიანობა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

5. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში და არ მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველ და მეორე დანართებში მითითებულ საქმიანობებს და უშუალოდ არ უკავშირდება ზურმუხტის ტერიტორიის მართვას, ან მისთვის პირდაპირ საჭიროებას არ წარმოადგენს, ექვემდებარება ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებს.

6. ენერგეტიკის სფეროში საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის’’ პირველ და მეორე დანართებში გათვალისწინებულ საქმიანობებს და ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიის გარეთ, მაგრამ არ გამოირიცხება მისი მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, ექვემდებარება ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურებს.

7. სასარგებლო წიაღისეულით (მათ შორის, ნავთობისა და გაზის) სარგებლობის სფეროში საქმიანობა, რომელიც არ ხორციელდება ზურმუხტის ტერიტორიაზე, მაგრამ არ გამოირიცხება მისი მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, ექვემდებარება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას. აღნიშნული ვალდებულება განისაზღვრება შესაბამისი ლიცენზიით.

8. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ორგანო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას და განმცხადებელს უდგენს ვალდებულებას, წარმოადგინოს ამ მუხლის მე-12 ან მე-13 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სამინისტროს მიერ ორეტაპიანი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე (გარდა ნავთობისა და გაზის სფეროში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით განხორციელებული საქმიანობისა).

10. ადმინისტრაციული წარმოების პირველი ეტაპი სრულდება წინასწარი გადაწყვეტილებით. წინასწარი გადაწყვეტილება არის სამინისტროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტაციის საფუძველზე შეიცავს

ინფორმაციას საქმიანობის ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების არარსებობის ან ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებაზე დაქვემდებარების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) არის თუ არა პროექტი უშუალოდ დაკავშირებული ან საჭირო ზურმუხტის ტერიტორიის მართვისა და ბუნების კონსრევაციისათვის;

ბ) პროექტის ტიპის ან მასშტაბის გათვალისწინებით საქმიანობას აქვს თუ არა ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება;

გ) პროექტის განხორციელების ადგილი მდებარეობს თუ არა ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ, თუმცა შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე.

11. ამ მუხლის მე-9 პუნტით გათვალიწინებული წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული ფიზიკური ცვლილებების (ექსკავაცია, ბურღვა, ფსკერის დაღრმავება, ხე-მცენარეების ჭრა და სხვ.) შესახებ;

ბ) რესურსების საჭიროებების (წყალაღება და სხვ.) შესახებ;

გ) ემისიების და ნარჩენების წარმოქმნის და შემდგომი პროცესების შესახებ;

დ) ტრანსპორტირების საჭიროებების და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ;

ე) მშენებლობისა და ოპერირების ხანგრძლივობის შესახებ;

ვ) საქმიანობის განხორციელების ადგილის კოორდინატები/შეიპ ფაილები;

ზ) კუმულაციური ეფექტების შესახებ.

12. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გადაწყვეტილებით დგინდება, რომ პროექტს უშუალოდ, ასევე სხვა გეგმებთან და პროექტებთან ერთობლიობაში არ ექნება ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, რომ პროექტი აღარ დაექვემდებაროს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული წარმოების პირველ ეტაპზე ვერ გამოირიცხა ზურმუხტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, პროექტი დაექვემდებარება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, რომელიც ტარდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

13. დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი ზურმუხტის ტერიტორიის ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საფუძველზე სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით განხორციელების ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე.

14. სამინისტრო შეითანხმებს საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ საქმიანობის განხორციელება არ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატ(ებ)ზე და/ან სახეობა(ებ)ზე.

15. იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება გამოავლენს, რომ საქმიანობას ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ზურმუხტის ტერიტორიაზე, სამინისტრო ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების გათვალისწინებით იღებს დადებით გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმის ან პროექტის მიმართ არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესი და არ არსებობს ალტერნატიული გადაწყვეტილება ან ის შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში სამინისტრო, ბერნის კონვენციის შესაბამის ორგანოების კონსულტაციების გათვალისწინებით, ადგენს გამოსწორების ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის მთლიანობის შენარჩუნება.

16. თუ დაინტერესებული პირი ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებიდან 5 წლის ვადაში არ დაიწყებს საქმიანობას ის კარგავს ძალას.

17. ზურმუხტის ტერიტორიაზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი მოვლენებით ან საქმიანობის განხორციელებით და ზემოქმედებას ახდენს მის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, უნდა ეცნობოს შესაბამისი კონვენციის სამდივნოს.

მუხლი 37. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის რეკვიზიტები

1. ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სახელმძღვანელო სტანდარტებს და მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საქმიანობის აღწერას;

ბ) პოტენციურად ზემოქმედებას დაქვემდებარებული ზურმუხტის ტერიტორიის აღწერას;

გ) საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე, რომელთა დასაცავად შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია;

დ) დასკვნას, საქმიანობა ინდივიდუალურად ან სხვა საქმიანობასთან კავშირში მოახდენს თუ არა მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ზურმუხტის ტერიტორიაზე;

ე) საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირებას, აღწერას და შეფასებას;

ვ) საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული საშუალებების აღწერას;

ზ) ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების აღწერას;

თ) საქმიანობის განხორციელებაზე მონიტორინგის განხორციელების საშუალებების აღწერას.

2. ისეთი საქმიანობის, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების მიუხედავად, შესაბამისი შეფასების ანგარიში, დამატებით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სანაცვლო საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ზურმუხტის ქსელის მთლიანობას.

3. შესაბამისი შეფასების განხორციელების და ანგარიშის მომზადების ხარჯებს აანაზღაურებს საქმიანობის განმახორციელებელი.

მუხლი 38. მონიტორინგი და ანგარიშგება

1. სავალდებულოა იმ სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი, რომელთა კონსერვაციის მიზნით ტერიტორიას მიენიჭა ზურმუხტის ქსელში ჩართული ტერიტორიის სტატუსი.

2. მონიტორინგს ზურმუხტის ტერიტორიის მართვის გეგმის საფუძველზე ახორციელებს ზურმუხტის ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელი სუბიექტ(ებ)ი და შედეგებს წარუდგენს სამინისტროს. მონიტორინგი ხორციელდება „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

3. მონიტორინგის შედეგები, ანგარიშების სახით ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

თავი IV

ბიოსფერული რეზერვატის დაარსება და მართვა

მუხლი 39. ამ თავის მოწესრიგების მიზანი

ეს თავი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიის – ბიოსფერული რეზერვატის დაარსების და მართვის საკითხებს.

მუხლი 40. ბიოსფერული რეზერვატის არსი და შექმნის მიზნები

1. ბიოსფერული რეზერვატი წარმოადგენს სახმელეთო ან/და სანაპირო/საზღვაო ეკოსისტემების ტერიტორიას, რომელიც შექმნილია ამ კანონის საფუძველზე და ჩართულია იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ ფარგლებში შექმნილი ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში და რომლის დანიშნულებაა ადამიანსა და ბიოსფეროს შორის ეკოლოგიურად, ეკონომიკურად და სოციალურად დაბალანსებული ურთიერთობის ხელშეწყობა და დემონსტრირება.

2. ბიოსფერული რეზერვატის შექმნის მიზანია:

ა) ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების, სახეობებისა და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვა, როგორც ბუნებრივი, ასევე კულტურული ლანდშაფტების ტრადიციული მიწათმოქმედების მეთოდებით შენარჩუნება;

ბ) ბიოსფერული რეზერვატის სოციალურ-კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი განვითარება, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობით;

გ) ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ეკოსისტემების კვლევისათვის ხელსაყრელი ადგილის კვლევის მხარდაჭერა და ეკოგანათლების ხელშეწყობა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ ინტერესებზე მორგებული ისეთი მიდგომების შემუშავებას, სადაც ბუნების და ადამიანების მოთხოვნები თანაბრად იქნება დაცული;

დ) ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ბუნებრივი რესურსების დაცვის, მდგრადი სარგებლობის, ტექნოლოგიების და ინოვაციების კვლევის და გამოცდის საფუძველზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე ხელმისაწვდომობა;

ე) რეგიონულ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და მისი უარყოფითი შედეგების შერბილება.

მუხლი 41. ბიოსფერული რეზერვატის შერჩევის კრიტერიუმები

ტერიტორიის ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მისანიჭებლად შერჩევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ტერიტორია უნდა მოიცავდეს განსხვავებულ ეკოლოგიურ სისტემებს, რომლებიც წარმოადგენს ძირითად ბიოგეოგრაფიულ რეგიონებს, ადამიანის მიერ მოდიფიცირებული ეკოსისტემების ჩათვლით;

ბ) ტერიტორია უნდა იყოს მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით;

გ) ტერიტორია უნდა იძლეოდეს რეგიონალურ დონეზე მდგრადი განვითარების მიმართ არსებული მიდგომების შესწავლისა და დემონსტრირების საშუალებას;

დ) ტერიტორია უნდა იყოს ისეთი მოცულობის, რაც შესაძლებელს გახდის ბიოსფერული რეზერვატის შექმნის მიზნების მიღწევას.

მუხლი 42. ბიოსფერული რეზერვატის დამტკიცების პროცედურა

1. სამინისტრო მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების შუამდგომლობის და ამ კანონის მე-40 მუხლით დადგენილი ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს პოტენციური ტერიტორიების იდენტიფიცირებას,

კანდიდატი ტერიტორიის შერჩევას და მის ნომინირებას ბიოსფერული რეზერვატების მსოფლიო ქსელში ჩართვის მიზნით.

2. სამინისტრო შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით ამზადებს ბიოსფერული რეზერვატის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც ათანხმებს საქართველოს მთავრობასთან და ,,ადამიანისა და ბიოსფეროს ეროვნული კომიტეტის" საშუალებით წარუდგენს ,,ადამიანისა და ბიოსფეროს" პროგრამის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს.

3. შერჩეული ტერიტორიის იუნესკოს „ადამიანი და ბიოსფეროს" პროგრამის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ აღიარება არის საქართველოს მთავრობის მიერ ამ ტერიტორიისთვის ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებას კონკრეტული ტერიტორიისათვის ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების, მისი მართვის, დაცვის და მონიტორინგის ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 43. ბიოსფერული რეზერვატის მართვა

1. ბიოსფერული რეზერვატი არის სოციალურ-ეკოლოგიური სისტემის ინტეგრირებული მართვის ინსტრუმენტი. მისი მართვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რეგიონში არსებული აბიოტური ფაქტორები, ბიომრავალფეროვნება, ადგილობრივი თემების თავისებურებები, არსებული საქმიანობები. ბიოსფერული რეზერვატის მართვა მიმართული უნდა იყოს მის სამ ზონაში განსახორციელებელი საქმიანობების ჰარმონიზაციაზე.

2. ბიოსფერული რეზერვატის მართვა ხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ, რომელსაც აფუძნებენ შესაბამისი მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები.

3. ბიოსფერული რეზერვატის მართვის ორგანოსთან იქმნება საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა კომიტეტი, რომელიც განიხილავს ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციონირებასა და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამზადებს რეკომენდაციებს მმართველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად.

4. იმ შემთხვევაში, თუ ბიოსფერული რეზერვატი იმავდროულად წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ დაცულ ტერიტორიას ან საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ტყეს, იგი იმართება ამ ტერიტორიის მართვის გეგმით,

რომელშიც დამატებით განისაზღვრება ბიოსფერული რეზერვატის კონსერვაციული მიზნები და მათ მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებები ან/და შეზღუდვები.

5. ბიოსფერული რეზერვატი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებით, ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა სახსრებიდან.

6. ბიოსფერული რეზერვატის მართვის საკითხები წესრიგდება დებულებით „კონვენციებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ“ და მის მართვაზე უფლებამოსილი იურიდიული პირის წესდებით.

მუხლი 44. ბიოსფერული რეზერვატის ზონირება

1. ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მიწათსარგებლობის შესაბამისი დაგეგმვითა და ზონირებით, რომელიც მოიცავს:

ა) ბირთვის ზონას, რომელსაც აქვს სამართლებრივად დადგენილი საზღვრები და ემსახურება ბიოსფერული რეზერვატის გრძელვადიანი კონსერვაციული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანი ბუნებრივი პროცესების შეუფერხებელ მსვლელობას და აქვს საკმარისი მოცულობა ამ მიზნების მისაღწევად;

ბ) ბუფერულ ზონას, რომელიც მდებარეობს ბირთვის ზონის გარშემო და რომელსაც აქვს სამართლებრივად დადგენილი საზღვრები, სადაც ნებისმიერი საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით (კონსერვაციული) მიზნებს და ხელს უნდა უწყობდეს ბირთვის სტატუსის მქონე ზონის ფუნქციების შესრულებას;

გ) გარდამავალ ტერიტორიას, რომელიც არის ადამიანების საცხოვრებელი და საქმიანი ზონა, სადაც ცხოვრების და მიწათსარგებლობის ტრადიციული ფორმების შენარჩუნებით და ინოვაციური მეთოდების დანერგვით ხდება ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა და განვითარება.

2. ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციების დადგენისა და განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ფართო ჩართულობა.

3. ბიოსფერული რეზერვატის ბირთვულ და ბუფერულ ზონებში დაშვებული და აკრძალული საქმიანობები აისახება ტერიტორიის მართვის დოკუმენტში.

4. ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე დაცული ტერიტორიის კატეგორიის, ასევე საერთაშორისო ქსელში ჩართული დაცული ტერიტორიების ჩართვა. ასეთი ტერიტორიები იმართება მის მართვაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ.

მუხლი 45. ბიოსფერული რეზერვატის ტერიტორიის საკუთრების უფლება

1. ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში მიწისა და ბუნებრივი რესურსების ფლობის, განკარგვისა და სარგებლობის დაშვებული ფორმები განისაზღვრება ფუნქციური ზონების მიხედვით.

2. ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის ზონაში მიწა და ბუნებრივი რესურსები მხოლოდ სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრებაა. დაუშვებელია ამ ტერიტორიებისა და მათზე არსებული ბუნებრივი რესურსების ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საკუთრებაში გადაცემა.

3. ბიოსფერული რეზერვატის ბუფერულ და გარდამავალ ზონაში არსებული მიწასა და ბუნებრივ რესურსებზე დაიშვება საკუთრების ყველა ფორმა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 46. „ადამიანისა და ბიოსფეროს“ ეროვნული კომიტეტი

1. იუნესკოს „ადამიანისა და ბიოსფეროს“ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის მიზნით იქმნება საქართველოს „ადამიანი და ბიოსფეროს“ (MAB) ეროვნული კომიტეტი (შემდგომში - MAB-ის ეროვნული კომიტეტი), როგორც საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო. MAB-ის ეროვნული კომიტეტის უფლებამოსილება განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. MAB-ის ეროვნული კომიტეტის ფუნქციონირების მიზანია იუნესკოს ,,ადამიანისა და ბიოსფეროს“ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის მხარდაჭერა.

3. MAB-ის ეროვნული კომიტეტი მონაწილეობს ბიოსფერული რეზერვატების კონცეფციის განვითარებასა და მისი ეროვნულ დონეზე დანერგვის ღონისძიებების განხორციელებაში იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით.

თავი V

საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების დაარსება და მართვა

მუხლი 47. ამ თავის მოწესრიგების მიზანი

1. ამ თავის მოწესრიგების მიზანია „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციით“ (რამსარის კონვენცია) გათვალისწინებული საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის გამოვლენის, მისი რამსარის კონვენციის საერთაშორისო

მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად წარდგენის და მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

2. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია წარმოადგენს ტერიტორიას, რომელიც მოიცავს მდინარეებს, ტბებს, ჭაობებს, წყალსაცავებს, არხების და ტბორების წყლებს, მდინარეთა ზღვის შესართავებთან ახლომდებარე ზედაპირულ წყლებს, რომლებიც ნაწილობრივ დამლაშებულია სანაპირო წყლების ზემოქმედების გამო, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, არსებითად არიან გაჯერებული მტკნარი წყლებით, ნაპირის ხაზიდან ზღვის მიმართულებით ერთი საზღვაო მილის მანძილზე არსებულ წყლებს, რომლებიც ამ თავის მოთხოვნების დაცვით ჩართულია რამსარის კონვენციის ფარგლებში შექმნილი საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში.

მუხლი 48. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის შექმნის მიზანი

1. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ქსელის განვითარების მიზანია იმ ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვა, რომელთაც, მათი ეკოლოგიური და ჰიდროლოგიური ფუნქციების გამო, გააჩნიათ მნიშვნელობა გლობალური ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ადამიანთა კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის.

2. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის შექმნის მიზანია:

ა) ჭარბტენიანი ეკოსისტემის იმ ეკოლოგიური მახასიათებლების (ჭარბტენიანი ეკოსისტემის ბიოლოგიური, ფიზიკური და ქიმიური კომპონენტები და ურთიერთქმედება, რომელიც განაპირობებს ჭარბტენიანი ტერიტორიის, მისი პროდუქტების, ფუნქციების და ატრიბუტების შენარჩუნებას) გრძელვადიანი შენარჩუნება, რომელთა გამოც აღნიშნული ტერიტორია აღიარებულ იქნა, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის ტერიტორია;

ბ) ჭარბტენიანი ტერიტორიის მდგრადი გამოყენება ადამიანთა სასარგებლოდ ეკოსისტემის ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებასთან თავსებადი გზით.

მუხლი 49. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმები

1. ტერიტორიები, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად უნდა შეირჩეს მათი საერთაშორისო ეკოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, ლიმნოლოგიური და/ან ჰიდროლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით. პირველ რიგში, სიაში შეტანილი უნდა იქნეს ის ჭარბტენიანი

ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო მნიშვნელობა ნებისმიერ სეზონზე წყლის ფრინველებისათვის.

2. ტერიტორია შეირჩევა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

ა) არის ბუნებრივი ან მცირედ სახეცვლილი ჭარბტენიანი ტერიტორიის წარმომადგენლობითი, იშვიათი ან უნიკალური ნიმუში ბიოგეოგრაფიულ რეგიონში;

ბ) წარმოადგენს მოწყვლადი, საფრთხის წინაშე მყოფი ან კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ან მოწყვლადი ეკოლოგიური თანასაზოგადოებების საბინადრო გარემოს;

გ) ჭარბტენიანი ტერიტორია მნიშნელოვანია მცენარეების და/ან ცხოველების პოპულაციებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიოგეოგრაფიულ რეგიონში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის;

დ) ჭარბტენიანი ტერიტორია მნიშვნელოვანია მცენარეთა და/ან ცხოველთა სახეობებისთვის მათი სასიცოცხლო ციკლის კრიტიკულ ეტაპზე ან წარმოადგენს თავშესაფარს არახელსაყრელი პირობების დროს;

ე) ჭარბტენიანი ტერიტორია რეგულარულად მასპინძლობს 20 ათასზე მეტ წყლის ფრინველს;

ვ) ჭარბტენიანი ტერიტორია მნიშვნელოვანია რომელიმე სახეობის წყლის ფრინველის პოპულაციის სულ მცირე 1%-სთვის;

ზ) ჭარბტენიანი ტერიტორია მნიშვნელოვანია თევზების ადგილობრივი ქვე-სახეობის, სახეობის ან ოჯახის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, მათი სასიცოცხლო ციკლისთვის, სახეობათა ან/და პოპულაციების ურთიერთქმდებისთვის, რომლებიც წარმოადგენს ჭარბტენიანი ტერიტორიის სარგებელს და/ან ღირებულებას და ამით წვლილი შეაქვთ გლობალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში;

თ) ჭარბტენიანი ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან საარსებო, სამიგრაციო და საქვირითე გარემოს თევზებისათვის;

ი) ჭარბტენიანი ტერიტორია რეგულარულად მასპინძლობს ფრინველების გარდა, სხვა ჭარბტენიან ტერიტორიაზე დამოკიდებული სახეობების ან ქვე-სახეობების პოპულაციების სულ მცირე 1%-ს.

მუხლი 50. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დამტკიცების პროცედურა

1. ჭარბტენიანი ტერიტორიები, საერთაშორისო მნიშვენლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში წარდგენისათვის, შეირჩევა ამ კანონის 49-ე მუხლში

განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, სისტემატური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს, ჭარბტენიანი ტერიტორიების ინვენტარიზაციას და ტერიტორიების შერჩევას ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. თუ ინვენტარიზაცია არ არის დასრულებული, ეს არ წარმოადგენს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიის დამტკიცებისათვის ხელისშემშლელ გარემოებას.

2. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად პოტენციური ჭარბტენიანი ტერიტორიების გამოვლენას უზრუნველყოფს სამინისტრო. სამინისტრო ამზადებს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით წარუდგენს რამსარის კონვენციის სამდივნოს.

3. საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში ჩართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის.

4. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვა ხდება მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ტერიტორიის მართვის ორგანო და ამტკიცებს მინისტრი.

5. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია იმავდროულად წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ დაცულ ტერიტორიას ან საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ტყეს, იგი იმართება ამ ტერიტორიის მართვის გეგმით, რომელშიც დამატებით განისაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის კონსერვაციული მიზნები და მათ მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებები ან/და შეზღუდვები.

6. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვა უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს იმ ეკოლოგიური მახასიათებლების შენარჩუნება, რომელთა გამოც აღნიშნულ ტერიტორიას მიენიჭა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსი.

7. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების მართვის საკითხები წესრიგდება დებულებით „კონვენციებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ“.

მუხლი 51. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე

ზემოქმედების შეფასება

1. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე განზრახული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის მართვას, ექვემდებარება საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას.

2. დაუშვებელია საქმიანობის განხორციელება თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებით დგინდება, რომ განზრახული საქმიანობა იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე. ზემოქმედება მნიშვნელოვანია, როდესაც საქმიანობის განხორციელება იწვევს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის იმ ეკოლოგიური მახასიათებლების დაკარგვას, რომელთა გამოც ტერიტორიას მიენიჭა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსი და რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტერიტორიის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიიდან ამოღება ან მისი ფართობის შემცირება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილ შემთხვევაში დასაშვებია საქმიანობის განხორციელება, როდესაც განზრახული საქმიანობის მიმართ არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესი და საქმიანობა ხორციელდება ამ კანონის 53-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. განზრახული საქმიანობით საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება და საქმიანობის განხორციელების მიმართ უპირატესი საჯარო ინტერესის დასაბუთება უნდა აისახოს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

მუხლი 52. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

1. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე ჩატარებული სკოპინგის პროცედურის ფარგლებში უნდა დადგინდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. თუ სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა ითხოვს საქმიანობის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასებას, ეს შეფასება უნდა ახლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშს, სადაც უნდა დასაბუთდეს უპირატესი საჯარო ინტერესის არსებობა და ადეკვატური კომპენსირების

განხორციელების შესაძლებლობა შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრით. ეს ვალდებულება არ გამორიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, სკოპინგის ანგარიშის მომზადებამდე ან სკოპინგის ანგარიშთან ერთად წარმოადგინოს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება.

2. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ექვემდებარება ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას და სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოირიცხა საქმიანობის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შესაძლებობა, საქმიანობის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საქმიანობა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

3. თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე განზრახული საქმიანობა არ მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველ და მეორე დანართებში მითითებულ საქმიანობებს და იწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე, სამინისტრო დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელების დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე.

5. სამინისტრო მხარისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენის ვალდებულების დადგენის შემთხვევაში, მთავრობასთან შეთანხმებით, საკითხს აცნობებს რამსარის კონვენციის სამდივნოს შესაბამისი კონსულტაციების თხოვნით.

6. რამსარის კონვენციის სამდივნოს მისიის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს სამინისტრო გადაუგზავნის დაინტერესებულ მხარეს, რეკომენდაციების საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინების მიზნით.

7. სამინისტრო საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით იღებს გადაწყვეტილებას ან უარს ეუბნება საქმიანობის განმახორციელებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სამინისტრო ამზადებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს გადაწყვეტილების პროექტს

საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიიდან ამოღების ან მისი ფართობის შემცირების შესახებ. საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას და დოკუმენტაციას უგზავნის რამსარის კონვენციის სამდივნოს.

8. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სახელმძღვანელო სტანდარტებს და მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საქმიანობის აღწერას;

ბ) პოტენციურად ზემოქმედებას დაქვემდებარებული საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის აღწერას;

გ) საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას იმ ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, რომელთა დასაცავად და შესანარჩუნებლად შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანია ტერიტორია;

დ) დასკვნას, საქმიანობა ინდივიდუალურად ან სხვა საქმიანობასთან კავშირში მოახდენს თუ არა მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიაზე;

ე) საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირებას, აღწერას და შეფასებას;

ვ) საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული საშუალებების აღწერას;

ზ) საქმიანობის განხორციელებაზე მონიტორინგის განხორციელების საშუალებების აღწერას.

9. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტით უნდა მოხდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე უარყოფითი ზემოქმედების კომპენსირების განსაზღვრა შემდეგი საკითხების განხილვის და გათვალისწინების საფუძველზე:

ა) საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შეტანილი ჭარბტენიანი ტერიტორიების სრული ღირებულების შენარჩუნების მნიშვნელობა ეროვნულ და მსოფლიო დონეზე;

ბ) საკომპენსაციო ჩანაცვლების შესაძლებლობა (ანუ რამდენად არსებობს ანალოგიური ეკოლოგიური მახასიათებლების ტერიტორია, რომლის დაცვითაც შესაძლებელი იქნება იმ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დანაკარგის სრული კომპენსირება, რომლის მიმართ იგეგმება ფართობის შემცირება ან რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიიდან ამოღება;

გ) ხდება თუ არა იმ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის ეკოლოგიური მახასიათებლების, ჰაბიტატებისა და ღირებულებების სრული კომპენსაცია, რომლის მიმართ იგეგმება ფართობის შემცირება ან რამსარის კონვენციის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიიდან ამოღება;

დ) სათანადო კომპენსირებასთან დაკავშირებით არსებული სამეცნიერო და სხვა სახის მოსაზრებები/კითხვები, (საკითხები რომლებიც მეცნიერულად არ არის სრულყოფილად და მკაფიოდ დასაბუთებული);

ე) საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვადების შესაბამისობა საქმიანობის განხორციელებასთან;

ვ) უარყოფითი ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საკომპენსაციო ღონისძიებამ.

მუხლი 53. უპირატესი საჯარო ინტერესის განსაზღვრა

საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიაზე ზემოქმედების ანგარიშში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების მიმართ უპირატესი საჯარო ინტერესის არსებობა და მისი პრიორიტეტულობა უნდა დასაბუთდეს შემდეგი საკითხების განხილვის და გათვალისწინების საფუძველზე:

ა) ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მთლიანობის შენარჩუნების სარგებელი ეროვნულ დონეზე და მასთან დაკავშირებული სხვა სარგებელი;

ბ) უპიტატესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის აღწერა და არსებული მდგომარეობის შენარჩუნებით მასზე მოსალოდნელი საფრთხე;

გ) დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისობა ეროვნულ პოლიტიკასთან და სტრატეგიებთან;

დ) მნიშვნელოვანი საშიშროების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომების მიღების საჭიროება;

ე) ყველა რაციონალური ალტერნატივის განხილვა, მათ შორის უმოქმედობის, პროექტის განხორციელების ადგილის ალტერნატივების, ბუფერული ზონების შექმნის და სხვა ღონისძიებების შესაძლებლობების შემოწმების დადასტურებით;

ვ) მოცემული ტერიტორიის ჩამოყალიბებული ფუნქციები და მისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღირებულების შესაბამისობა განზრახული საქმიანობით მიღებულ სოციალურ, ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ სარგებელთან (რაც უფრო

მნიშვნელოვანია ტერიტორიის ღირებულებები და ფუნქციები, უფრო მეტი უნდა იყოს განზრახული საქმიანობისგან მიღებული სარგებელი);

ზ) დაგეგმილი საქმიანობის ტრანსასაზღვრო ზემოქმედება.

მუხლი 54. საერთაშორისო მნიშნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის საკუთრების უფლება

1. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიას შესაძლებელია იმავდროულად მიენიჭოს ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების ერთ-ერთი კატეგორია.

2. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია შესაძლებელია იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში.

3. თუ საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსის მინიჭებით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

4. თუ ტერიტორიისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსის მინიჭება შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ფუნქციური დანიშნულებით, მესაკუთრე უფლებამოსილია, საკუთრების უფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, სახელმწიფოსგან მოითხოვოს მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება/გამოსყიდვა სამართლიანი ანაზღაურების პირობის დაცვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI

მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის დაარსება და მართვა

მუხლი 55. ამ თავის მოწესრიგების მიზანი

ამ თავის მოწესრიგების მიზანია ტერიტორიისათვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის სტატუსის მინიჭების და მსოფლიო მემკვიდრეობის ტერიტორიების ნუსხაში შეტანის მიზნით გამოვლენის, წარდგენის და მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

მუხლი 56. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის შერჩევის კრიტერიუმები

1. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანს წარმოადგენს:

ა) განსაკუთრებული ბუნებრივი წარმონაქმნები რომლებიც შედგება ფიზიკური და ბიოლოგიური ფორმაციებისაგან ან ასეთი ფორმაციების ჯგუფებისაგან, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება ესთეტიკური ან სამეცნიერო თვალსაზრისით;

ბ) გეოლოგიური ან ფიზიოგრაფიული წარმონაქმნები და მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენს გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობების არეალს, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება მეცნიერული ან კონსერვაციული თვალსაზრისით;

გ) ბუნებრივი უბნები ან მკაფიოდ განსაზღვრული ბუნებრივი ტერიტორიები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება, მეცნიერების, კონსერვაციის ან ბუნებრივი სილამაზის თვალსაზრისით.

2. ობიექტს აქვს განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება/ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა თუ ის შეესაბამება შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს (შერჩევის კრიტერიუმები):

ა) წარმოადგენს განსაკუთრებულ უნივერსალურ ბუნებრივ მოვლენას ან განსაკუთრებული ბუნებრივი სილამაზისა და ესთეტიკური მნიშვნელობის არეებს;

ბ) წარმოადგენს დედამიწის ისტორიის, მათ შორის სიცოცხლის განვითარების ძირითადი სტადიების განსაკუთრებულ მაგალითს, მნიშვნელოვან მიმდინარე გეოლოგიურ პროცესს რელიეფის ფორმირებაში ან მნიშვნელოვან გეომორფოლოგიურ ან ფიზიოგრაფიულ თავისებურებას;

გ) არის განსაკუთრებული/გამორჩეული ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ხმელეთის, მტკნარი წყლის, სანაპირო და საზღვაო ეკოსისტემებისა და მცენარეებისა და ცხოველების თანასაზოგადოებების ევოლუციაში და განვითარებაში მიმდინარე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ან ბიოლოგიურ პროცესს;

დ) მოიცავს ბიომრავალფეროვნების in-situ კონსერვაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ ჰაბიტატს, მათ შორის საფრთხის წინაშე მყოფი იმ სახეობების ჰაბიტატებს, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება მეცნიერული ან კონსერვაციული თვალსაზრისით.

3. ყველა ობიექტი, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს მთლიანობის პირობას, როგორც ბუნებრივი მემკვიდრეობის სრულყოფილებისა და ხელუხლებლობის დადასტურებას, რაც გულისხმობს ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტებისთვის ბიოფიზიკური პროცესების და რელიეფის თავისებურებების უმეტესწილად ხელუხლებელ მდგომარეობაში არსებობას. აღნიშნული მიზნებისთვის ტერიტორიის შეფასება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი გარემო არის დინამიურ მდგომარეობაში და გარკვეულწილად ადამიანთან შემხებლობაში. ტერიტორიის განსაკუთრებული

უნივერსალური ღირებულების საფუძველი შეიძლება გახდეს ადამიანისა და გარემოს თანაარსებობა ეკოლოგიური მდგარობის შენარჩუნებით.

მუხლი 57. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის დამტკიცების პროცედურა

1. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად ტერიტორია შეირჩევა ამ კანონის 54-ე მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, სისტემური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის პოტენციური ტერიტორიების ინვენტარიზაციას და მიღებული მონაცემების საფუძველზე წარსადგენი ტერიტორიის შერჩევას. თუ ინვენტარიზაცია არ არის დასრულებული, ეს არ უნდა გახდეს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით იდენტიფიცირებული ტერიტორიის დამტკიცებისათვის ხელისშემშლელი გარემოება.

2. სამინისტრო, მთავრობასთან შეთანხმებით, ამზადებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციის დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სამდივნოს.

3. საქართველოს მიერ წარდგენილი ტერიტორიის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში ჩართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ეროვნულ დონეზე შესაბამისი დაცვის, მართვისა და მონიტორინგის უზრუნველყოფის თაობაზე.

4. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის მართვა ხდება მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ტერიტორიის მართვის ორგანო და ამტკიცებს მინისტრი. ტერიტორიის მართვა უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს იმ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების/ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შენარჩუნება, რომელთა გამოც აღნიშნულ ტერიტორიას მიენიჭა მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის სტატუსი.

5. იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ტერიტორია იმავდროულად წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ დაცულ ტერიტორიას ან საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს ტყეს, იგი იმართება ამ ტერიტორიის მართვის გეგმით, რომელშიც დამატებით განისაზღვრება მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიის კონსერვაციული მიზნები და მათ მისაღწევად განსაზღვრული ღონისძიებები ან/და შეზღუდვები.

6. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ფარგლებში შესაძლებელია ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე დაცული ტერიტორის ჩართვა.

7. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის მართვის საკითხები წესრიგდება დებულებით „საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ“.

მუხლი 58. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის საზღვრების შეცვლა

მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის საზღვრების ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, თუ მას არ ექნება მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლის განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, უნდა მომზადდეს ცვლილების დოკუმენტი კონვეციის მოთხოვნების შესაბამისად და წარედგინოს კონვენცის სამდივნოს. თუ კონვენციის ორგანოების რეკომენდაციების საფუძველზე საზღვრების ცვლილება ჩაითვლება საზღვრების მნიშვნელოვან ცვლილებად, კონვენციის სამდივნოს უნდა წარედგინოს ნომინაციის ახალი დოკუმენტი.

მუხლი 59. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის საკუთრების ფორმა

მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანში შემავალ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების საკუთრება განისაზღვრება იმ დაცული ტერიტორიების კატეგორიების საკუთრების ფორმით, რომელთა საფუძველზეც ის ჩამოყალიბდა.

თავი VII. იუნესკოს გლობალური გეოპარკი

მუხლი 60. ამ თავის მოწესრიგების მიზანი

ეს თავი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების კატეგორიის – იუნესკოს გლობალური გეოპარკის (შემდგომში - გეოპარკი) დაარსების და მართვის საკითხებს.

მუხლი 61. გეოპარკის არსი და შექმნის მიზნები

1. გეოპარკი არის ტერიტორია, რომელშიც საერთაშორისო გეოლოგიური მნიშვნელობის გეოტოპები და ლანდშაფტები იმართება დაცვის, განათლების, კვლევისა და მდგრადი განვითარების ჰოლისტიკური კონცეფციის მიხედვით.

2. გეოპარკი იქმნება გეოლოგიურად მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის საერთაშორისო მასშტაბით შენარჩუნების მიზნით.

3. გეოპარკის შექმნის მიზანია გეოლოგიური მემკვიდრეობის რეგიონის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ყველა სხვა ასპექტთან ერთად გამოყენება,

რამაც უნდა აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება დინამიურად ცვალებადი სამყაროს ძირითადი სოციალური გამოწვევების შესახებ, რაც მოიცავს ინფორმაციას გეოლოგიური პროცესებზე და საფრთხეებზე, კლიმატის ცვლილებებზე, დედამიწის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების აუცილებლობაზე, სიცოცხლის ევოლუციაზე, ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობაზე და ა.შ.

4. გეოპარკმა შესაძლებელი უნდა გახადოს სოციალურ და გარემოს დაცვის ინტერესებთან თავსებადი ეკონომიკური განვითარება. გეოპარკს უნდა ჰქონდეს გავლენა მრეწველობაზე, ვაჭრობაზე, სოფლის მეურნეობაზე და სატყეო მეურნეობაზე, რათა შექმნას მდგრადი განვითარების მოდელი ენერგიის მოხმარების, ნედლეულის გამოყენების, ნიადაგისა და წყლის დაცვისა და ნარჩენების მართვის თვალსაზრისით.

5. გეოპარკი თანამშრომლობს ტურიზმის რეგიონულ და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა გეოპარკი და მისი გეოლოგიური, ეკოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული და კულტურული მახასიათებლები ხელმისაწვდომი გახდეს ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო და დასასვენებელი პროგრამების მეშვეობით.

6. გეოპარკი ხელს უწყობს განათლების განვითარებას გეოპარკის შექმნის მიზნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო შეთავაზებები უნდა მოიცავდეს ძირითად სოციალურ გამოწვევებს. საგანმანათლებლო მიზნები და ღონისძიებები უნდა შემუშავდეს და შეფასდეს პროვაიდერების ინტერესების გათვალისწინებით და ისეთი პარტნიორების ჩართულობით, როგორიცაა უნივერსიტეტები, არასაუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტები, მუზეუმები, ასოციაციები და იუნესკოს პროექტის სკოლები.

7. გეოპარკმა, შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შეუწყოს ხელი პრობლემაზე ორიენტირებულ ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო კვლევებს. კვლევის შედეგები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გეოპარკის მართის პროცესში.

მუხლი 62. გეოპარკის შერჩევის კრიტერიუმები

1. გეოპარკის სტატუსი ენიჭება ტერიტორიას, რომელიც მოიცავს საერთაშორისო მნიშვნელობის გეოლოგიურ მემკვიდრეობას, რაც დასტურდება დამოუკიდებლი ექსპერტების შეფასებით.

2. გლობალური სოციალური გამოწვევები, რაც გეოპარკის შექმნის საფუძველი შეიძლება გახდეს, მოიცავს კლიმატის ცვლილებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ნიადაგისა და წყლის დაცვას, სასურსათო უსაფრთხოებას, ბუნებრივ კატასტროფებს, ენერგიის ხელმისაწვდომობას, ბუნებრივი (გეო)რესურსების

ამოწურვადობას და დემოგრაფიულ განვითარებას. ტერიტორიის შერჩევისას ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს მისი სპეციფიკური მახასიათებლები და ის კონკრეტული გამოწვევები, რომლის გაადაჭრასაც ემსახურება ტერიტორიისთვის გეოპარკის სტატუსის მინიჭება.

3. გეოპარკს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული საზღვარი და იყოს საკმარისად დიდი თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

4. თუ გეოპარკის შექმნისათვის ნომინირებული ტერიტორია ამასთანავე არის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი ან ბიოსფერული რეზერვატი, ნომინაციის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს მკაფიო დასაბუთებას, რომ გეოპარკის სტატუსის მინიჭება დამატებით ღირებულებას შესძენს ამ ტერიტორიას სხვა სტატუსებთან ურთიერთქმედებით.

მუხლი 63. გეოპარკის დამტკიცების პროცედურა

1. ტერიტორიის იუნესკოს გლობალური გეოპარკების ქსელში შესატანად იუნესკოს სამდივნოში განცხადების და თანდართული დოკუმენტის წარდგენა ხდება სამინისტროს მიერ იუნესკოს ეროვნული კომისიის ან იუნესკოსთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოს მეშვეობით.

2. ნომინაციის განაცხადს თან უნდა ახლდეს საქართველოს მთავრობის თანხმობა და იუნესკოს ეროვნული კომისიის რეკომენდაცია.

3. იუნესკოს გლობალური გეოპარკების ქსელში ტერიტორიის ნომინაციისათვის წარდგენილ განაცხადს უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ტერიტორია სულ მცირე ერთი წელია ფუნქციონირებს როგორც გეოპარკი.

4. სტატუსის მოსაპოვებლად ნომინირებულ გეოპარკს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება, სულ მცირე, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით ან ნომინირებულ ტერიტორიაზე აღიარებული გეოპარკების წარმომადგენლების საექსპერტო მისიების მეშვეობით.

5. ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ორი ტერიტორიის ნომინაცია.

6. ტერიტორიას იუნესკოს გლობალური გეოპარკების სტატუსი ენიჭება იუნესკოს სამდივნოს მიერ საქართველოს მხარისთვის შესაბამისი დოკუმენტის გადაცემით.

მუხლი 64. გეოპარკის მართვა

1. გეოპარკის მართვა ხორციელდება ტერიტორიის მართვის ორგანოს მიერ, რომელიც იქმნება სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ფორმით.

2. გეოპარკების მართვაში ჩართული უნდა იყვნენ შესაბამისი ადგილობრივი თემები, როგორც ძირითადი დაინტერესებული მხარეები.

3. გეოპარკის მართვის ორგანო უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიციური კადრებით, განსაკუთრებით, გეომეცნიერებებში, რეგიონულ განვითარებისა და განათლების სფეროში და იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რის დასაძლევადაც იქმება კონკრეტული გეოპარკი. ცალკეული ფუნქციების შესასრულებლად შესაძლებელია შესაბამისი მომსახურებების შესყიდვა კერძო პირებისაგან.

4. გეოპარკი და მისი მიზნები ინტეგრირებული უნდა იყოს რეგიონული განვითარების მიზნებსა და მოდელებში და გათვალისწინებული უნდა იყოს სივრცითი დაგეგმარების პროცესში. გადაწყვეტილების მიმღებები პირები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული მხარეები სტრუქტურულად და ინსტიტუციურად უნდა ჩაერთოს გეოპარკის, როგორც საცხოვრებელი, ეკონომიკური და რეკრეაციული ზონის პროექტირებაში.

5. დაუშვებელია გეოპარკის მართვის ორგანოს მონაწილეობა გეოლოგიური მასალების გაყიდვაში, როგორიცაა ნამარხები, მინერალები, გაპრიალებული მინერალები და დეკორატიული ქანები. გეოპარკის მართვის ორგანომ არ უნდა დაუშვას გეოლოგიური მასალებით არამდგრადი ვაჭრობა.

6. გეოპარკის ბუნებრივად განახლებად ობიექტებზე შესაძლოა დაშვებული იქნეს გეოლოგიური მასალების შეგროვება სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

7. გამონაკლის შემთხვევებში, ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა დაშვებული იქნეს გეოლოგიური მასალების გაყიდვა მკაცრი პირობებით და მონიტორინგით. თითოეული საგამონაკლისო შემთხვევა დამტკიცებული უნდა იქნეს იუნესკოს გლობალური გეოპარკების საბჭოს მიერ.

8. გეოპარკი უნდა გაწევრიანდეს გლობალური გეოპარკების ქსელში, რათა გაუზიაროს გამოცდილება სხვა გეოპარკებს და განახორციელოს ერთობლივი პროექტები. გეოპარკი უნდა თანამშრომლობდეს იუნესკოს საერთაშორისო გეომეცნიერულ პროგრამებთან, იუნესკოს სხვა შესაბამისი პროგრამებთან და სამეცნიერო ქსელებთან.

მუხლი 65. გეოპარკის მართვის გეგმა

1. გეოპარკი უნდა იმართოს მართვის გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს მართვის ორგანო დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

2. გეოპარკის მართვის გეგმა უნდა შემუშავდეს ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით და ჩართულობით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები, ლანდშაფტის დაცვის და მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნების ინტერესები.

3. გეოპარკის მართვის გეგმით უნდა განისაზღვროს, თუ როგორ და რა ვადაში განხორციელდება მისი სარგებლობის, დაცვის, მოვლის, განვითარებისა და განათლების მიზნები, აგრეთვე, უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო კვლევით დაწესებულებებთან, მუზეუმებთან, იუნესკოს პროექტის სკოლებთან თანამშრომლობის ღონისძიებები. მართვის გეგმა, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს:

ა) ხარჯთაღრიცხვას და ბიუჯეტს;
ბ) დაცვის და მოვლის ღონისძიებებს;
გ) გეოლოგიური მასალებით არამდგრადი ვაჭრობის თავიდან აცილების ღონისძიებებს;
დ) ეკონიმიკური განვითარების, ტურიზმის და განათლების სფეროებში მდგრადი განვითარების სტრატეგიებს;
ე) ჩართულობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიებს;
ვ) ხარისხის დაცვისა და მონიტორინგის ინსტრუმენტებს.

მუხლი 66. გეოპარკის ეროვნული კომისია

1. გეოპარკების ეროვნული კომისია იქმნება მინისტრის ბრძანებით, რაც აღიარებული უნდა იქნეს იუნესკოს ეროვნული კომისიის მიერ.

2. გეოპარკის ეროვნულ კომისიის შემადგენლობაში, სულ მცირე, უნდა შედიოდეს:

ა) იუნესკოს ეროვნული კომისია;
ბ) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი;
გ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო;
დ) საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
ე) საქართველოს ტურიზმის სააგენტო;
ვ) გეოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლი;
ზ) საერთაშორისო გეოპარკების პროგრამაში საქართველოს წარმომადგენელი.

3. გეოპარკების ეროვნული კომისიის ფუნქციებია:

ა) საერთაშორისო გეოპარკების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ეროვნული წვლილის კოორდინაცია;

ბ) გეოლოგიური მემკვიდრეობის გამოვლენა და მის მნიშვნელოვნებაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

გ) იუნესკოს გლობალური გეოპარკების განვითარების ხელშეწყობა;

დ) გეოპარკის ტერიტორიის ნომინაციის განცხადების შეფასება და შემდგომი ზედამხედველობა;

დ) გეოპარკის ნომინაციის განაცხადის წარდგენა იუნესკოს ეროვნულ კომისიაში იუნესკოში გადაგზავნის მიზნით;

ე) ტერიტორიის იუნესკოს გლობალური გეოპარკების სიიდან ამოღების პროცედურების მხარდაჭერა;

ვ) იუნესკოს გლობალურ გეოპარკებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ზ) ეროვნულ დონეზე იუნესკოს გლობალური გეოპარკების გლობალური და რეგიონალური ქსელების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

თ) მდგრადი განვითარების სტრატეგიებისა და ღონისძიებების განხორციელება და მხარდაჭერა იუნესკოს გლობალურ გეოპარკებში.

თავი VIII

ველური მცენარეებითა და გარეული ცხოველებით საერთაშორისო ვაჭრობა

მუხლი 67. რეგულირების მიზანი

1. ამ თავის მიზანია ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე" 1973 წლის 3 მარტის ვაშინგტონის კონვენციით (CITES) (ამ თავში შემდგომში - კონვენცია) განსაზღვრული ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა ეროვნულ დონეზე.

2. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ თავით, რეგულირდება კონვენციის და მისი რეზოლუციების შესაბამისად.

3. კონვენციის დანართები და ინფორმაცია კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე დანართებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების შესახებ პროაქტიულად ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

4. თუ კი კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობა იმავდროულად ექცევა მკაცრად დაცული ან დაცული სახეობის ნუსხაში, ასეთი სახეობების ნიმუშებით

საერთაშორისო ვაჭრობის, აგრეთვე ხელოვნურად მოშენების და ტყვეობაში გამრავლების საკითხები წესრიგდება ამ თავით.

მუხლი 68. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სახეობის ნიმუში** -

ა.ა) ნებისმიერი ცოცხალი ან არაცოცხალი ცხოველი ან მცენარე, რომელიც შეტანილია კონვენციის დანართებში;

ა.ბ) კონვენციის I ან II დანართში შეტანილი ცხოველისთვის - ცხოველის ადვილად გამოსაცნობი ნაწილი, მისგან დამზადებული ნაკეთობა ან პროდუქტი, ხოლო კონვენციის III დანართში შეტანილი ცხოველისთვის - ცხოველის ადვილად გამოსაცნობი ნაწილი, მისგან დამზადებული ნაკეთობა ან პროდუქტი, რომელიც მითითებულია კონვენციის III დანართში ამ სახეობასთან დაკავშირებით;

ა.გ) კონვენციის I დანართში შეტანილი მცენარისთვის - მცენარის ადვილად გამოსაცნობი ნაწილი, მისგან დამზადებული ნაკეთობა ან პროდუქტი, ხოლო II და III დანართში შეტანილი მცენარისთვის - მცენარის ადვილად გამოსაცნობი ნაწილი, მისგან დამზადებული ნაკეთობა ან პროდუქტი, რომლებიც მითითებულია II და III დანართებში ამ სახეობებთან დაკავშირებით.

ბ) **საერთაშორისო ვაჭრობა** - კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ზღვიდან ინტროდუქცია;

გ) **ზღვიდან ინტროდუქცია** - იმ სახეობის ნიმუშის ქვეყანაში შეტანა, რომელიც მოპოვებულია ისეთ საზღვაო სივრცეში, რომელიც არ იმყოფება არცერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ;

დ) **ხელოვნურად გაშენებული მცენარე** - კონვენციის დანართებში შეტანილი მცენარე, რომელიც გაშენებულია ამ მცენარის მოსაშენებლად სპეციალურად მართულ ტერიტორიაზე კულტივირებული სანაშენე თაობისაგან მიღებული გასამრავლებელი მასალისაგან, კონვენციის მცენარეებით ვაჭრობის შესახებ N11.11 რეზოლუციის შესაბამისად;

ე) **ტყვეობაში გამრავლებული ცხოველი** - კონვენციის დანართებში შეტანილი ცხოველის მოსაშენებლად სპეციალურად მართულ გარემოში სანაშენე თაობისაგან მიღებული ცხოველი;

ვ) **CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატი** - დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის ქვეყანა;

ზ) **იმპორტი** - კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ან მუდმივი შემოტანა;

თ) **ექსპორტი** - კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დროებითი ან მუდმივი გატანა, გარდა რეექსპორტისა;

ი) **რეექსპორტი** - საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დროებითი ან მუდმივი გატანა;

კ) **ტრანზიტი** - კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმ ქვეყნის გავლით გადატანა, რომელიც არ არის არც წარმოშობის და არც დანიშნულების ქვეყანა;

ლ) **სახეობა** - ნებისმიერი სახეობა, ქვესახეობა ან გეოგრაფიულად განცალკევებული პოპულაცია;

მ) **რეტროსპექტიულად გაცემული ნებართვა** - ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე განხორციელებულ ქმედებაზე სათანადო ნებართვის გაცემა კონვენციის ნებართვებისა და სერტიფიკატების შესახებ N12.3 რეზოლუციის შესაბამისად;

ნ) **მართულ მეურნეობაში გაშენებული მცენარე** - მცენარე, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის მცენარეებით ვაჭრობის შესახებ N11.11 რეზოლუციით დადგენილ, ხელოვნურად გაშენებული მცენარის ცნებას, გაშენებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და არ წარმოადგენს ველური ბუნებიდან მოპოვებულ მცენარეს.

ო) **კომერციული მიზანი** - შემოსავლის მიღების მიზნით ნებისმიერი ტიპის საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 69. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. კონვენციით გათვალისწინებული ადმინისტრაციული უფლებამოსილების მქონე ორგანოა სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე დანერგვისათვის, თანამშრომლობს კონვენციის სხვა მხარეებთან და კონვენციის სამდივნოსთან, ასევე საქართველოს სახელით გასცემს კონვენციით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

2. სამინისტრო უფლებამოსილია კონვენციის მხარეთა კონფერენციას წარუდგინოს წინადადება სახეობის კონვენციის I ან II დანართში შეტანის თაობაზე, ხოლო კონვენციის სამდივნოს - წინადადება სახეობის ან სახეობის პოპულაციის კონვენციის III დანართში შეტანის თაობაზე.

3. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში

შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა“ (ამ თავში შემდგომში - ნებართვა) გაიცემა სამინისტროს მიერ.

4. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზია“ (ამ თავში შემდგომში - ლიცენზია) გაიცემა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ.

5. სამინისტრო კონვენციის სამდივნოს ყოველი წლის 31 ოქტომბრამდე წარუდგენს ანგარიშს წინა წლის განმავლობაში განხორციელებული ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის, აგრეთვე არალეგალური გადაადგილების გამოვლენილი შემთხვევებისა და კონფისკაციის თაობაზე.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური სამინისტროს არაუგვიანეს 1 თვის ვადაში წარუდგენს ანგარიშს წინა თვის განმავლობაში განხორციელებული იმპორტის, ექსპორტის და რეექსპორტის, ხოლო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 ივლისისა ინფორმაციას უკანონო გადაადგილების გამოვლენილი შემთხვევების შესახებ.

7. სამინისტროს მიერ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ნებართვის/ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილება განისაზღვრება კანონის ამ თავითა და ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით.

მუხლი 70. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობა

1. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ ექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვისა და იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის იმპორტის ნებართვის საფუძველზე.

2. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ იმპორტის მიზნით გაცემული ნებართვის და ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ექსპორტის ნებართვის ან ბოლო რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის რეექსპორტის ნებართვის/სერტიფიკატის საფუძველზე.

3. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის რეექსპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ რეექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვის და იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის იმპორტის ნებართვის საფუძველზე.

4. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ზღვიდან ინტროდუქცია წარმოებს სამინისტროს მიერ ზღვიდან ინტროდუქციის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე.

5. კონვენციის I დანართში შეტანილი, ტყვეობაში გამრავლებული ცხოველის/ხელოვნურად გაშენებული მცენარის ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობა ხდება კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 71. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობა

1. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ ექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე, ხოლო თუ იმპორტის ქვეყანა მოითხოვს იმპორტის ნებართვას - სამინისტროს მიერ ექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვისა და იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის იმპორტის ნებართვის საფუძველზე.

2. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმპორტი ხორციელდება ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის ექსპორტის ნებართვის, ან ბოლო რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის რეექსპორტის ნებართვის/სერტიფიკატის საფუძველზე.

3. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის რეექსპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ რეექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე.

4. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ზღვიდან ინტროდუქცია ხორციელდება სამინისტროს მიერ ზღვიდან ინტროდუქციის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე.

5. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ბუნებაში მოპოვება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენების ან კონვენციის N11.11 რეზოლუციის შესაბამისად მართულ მეურნეობაში გამრავლების მიზნით, დასაშვებია სამეცნიერო საბჭოს თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 72. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშების ბუნებაში მოპოვება კომერციული მიზნით ექსპორტისათვის

1. ლიცენზია გაიცემა, თუ კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშების მოპოვება ხდება კომერციული მიზნით ექსპორტისათვის.

2. სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო.

3. ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. აუქციონი ტარდება ელექტრონული ფორმით ან მის გარეშე. აუქციონის ჩატარების ფორმაზე გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გამცემი.

4. აუქციონის გამართვამდე, სამინისტრო, სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ადგენს კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშების ბუნებაში მოპოვების რაოდენობრივ, თვისებრივ და დროში განსაზღვრულ ნორმებს და წესებს.

5. აუქციონის გამართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს ლიცენზიის გამცემი.

6. ლიცენზია გაიცემა არაუმეტეს 5 წლის ვადით. ლიცენზიის გამცემს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, მხარეთა შეთანხმებით (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო და შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი), შესაძლებელია ლიცენზიის პირობების შეცვლა (გარდა ნორმატიული აქტით დადგენილი პირობებისა) ან/და დამატებითი სალიცენზიო პირობების დადგენა.

7. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

8. არასაექსპორტო მიზნით კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშების მოპოვება ლიცენზირებას არ ექვემდებარება.

9. ექსპორტისათვის კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარეთა სახეობის ნიმუშების მოპოვება არ საჭიროებს სარგებლობის ლიცენზიას იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორი პირის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული ნიმუშების საექსპორტო რაოდენობა არ აღემატება 50 ერთეულს, ცხოველთა სახეობის შემთხვევაში კი 5 ერთეულს, ასევე ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველების შემთხვევაში.

10. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების შემთხვევაში მოქმედებს ასეთი სახეობების მოპოვებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესი.

მუხლი 73. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობა

1. კონვენციის III დანართში საქართველოს ინიციატივით შეტანილი სახეობის ან პოპულაციის ნიმუშის ექსპორტი, რომელიც მოპოვებულია საქართველოში,

ხორციელდება სამინისტროს მიერ ექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე. კონვენციის III დანართში სხვა ქვეყნის ინიციატივით შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტი, რომელიც მოპოვებულია საქართველოში, ხორციელდება სამინისტროს მიერ გაცემული CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტი, რომელიც საქართველოში ბუნებრივად არ არის გავრცელებული, ხორციელდება სამინისტროს მიერ გაცემული CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე.

2. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმპორტი, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული იმპორტისა, ხორციელდება წარმოშობის ქვეყნის მიერ გაცემული CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის საფუძველზე, ხოლო თუ იმპორტი იმ ქვეყნიდან ხორციელდება, რომლის ინიციატივითაც ეს სახეობა ან ცალკეული პოპულაცია შეტანილია კონვენციის III დანართში - ამ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის ექსპორტის ნებართვის საფუძველზე.

3. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის არა წარმოშობის ქვეყნიდან, არამედ რეექსპორტის ქვეყნიდან განხორციელების შემთხვევაში საკმარისია რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის რეექსპორტის ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენა.

4. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმპორტი იმ ქვეყნიდან, რომელშიც ეს სახეობა ბუნებრივად არ არის გავრცელებული, ხორციელდება წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის ან ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების სერტიფიკატის საფუძველზე.

5. კონვენციის III დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის რეექსპორტი ხორციელდება სამინისტროს მიერ რეექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვის საფუძველზე.

6. კონვენციით განსაზღვრული ნებართვა და სერტიფიკატი არ მოითხოვება იმ პოპულაციის ნიმუშის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის განხორციელებისას, რომელიც არ არის შეტანილი კონვენციის III დანართში.

მუხლი 74. ტრანსსაზღვრო გადაადგილებისა და შიდა ვაჭრობის თანმხლები დოკუმენტები

1. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის იმპორტირებული ნიმუშის საქართველოს ტერიტორიაზე შემენა, გაყიდვა და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მხოლოდ კონვენციითა და ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების

თანხლებით. ნიმუშის სხვა პირისთვის გადაცემის შემთხვევაში მისი მფლობელი ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტები ან მათი ასლები ახალ მფლობელს გადასცეს.

2. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის კონვენციისა და ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაცემული დოკუმენტების გარეშე განხორციელება აკრძალულია, გარდა ამ თავით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სამართალდამრღვევის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას და სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას.

3. საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის ტრანზიტის განხორციელება კონვენციით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დამრღვევის დაჯარიმება და ნიმუშის კონფისკაცია, ინფორმაცია კანონდამრღვევის შესახებ შესაბამისი ზომების გატარების მიზნით მიეწოდება ტვირთის დანიშნულების ქვეყნის CITES-ის ადმინისტრაციულ ორგანოს.

4. თუ კონვენცის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის გადაადგილება ხდება ამ კანონით და კონვენციით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური ვალდებულია დაკავოს ეს ნიმუში და ამის შესახებ აცნობოს სამინისტროს.

5. ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 75. საერთაშორისო ვაჭრობის გამონაკლისი შემთხვევები

1. ამ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები არ მოითხოვება პირად საკუთრებაში არსებული კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის არაცოცხალი ნიმუშისთვის, რომლის ტრანსასაზღვრო გადაადგილება ხდება არაკომერციული მიზნით, თუ პირს აქვს მისი კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა:

ა) იმ შემთხვევისა, როდესაც ნიმუშით საერთაშორისო ვაჭრობისათვის ვაჭრობაში მონაწილე მეორე ქვეყანა ითხოვს ნებართვას ან სერტიფიკატს ან ამის თაობაზე ინფორმაცია გავრცელებულია კონვენციის სამდივნოს შეტყობინებით ან განთავსებულია კონვენციის ვებ-გვერდზე;

ბ) იმ შემთხვევისა, როდესაც ნიმუშების რაოდენობა აღემატება კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე მიღებული პირადი და საოჯახო ნიმუშებით ვაჭრობის შესახებ N13.07 რეზოლუციით განსაზღვრულ რაოდენობას;

გ) საფოსტო გზავნილის შემთხვევისა;

დ) სპილოს ძვლის და მარტორქის რქის ნიმუშის შემთხვევისა;

ე) სანადირო ტროფეის შემთხვევისა.

2. ამ კანონით განსაზღვრული ნებართვა არ მოითხოვება პირად საკუთრებაში არსებული კონვენციის II დანართის არაცოცხალი ნიმუშისთვის, რომლიც პირმა იმ ქვეყანაში შეიძინა, რომელშიც ის მუდმივად ცხოვრობდა და ტრანსასაზღვრო გადაადგილება დაკავშირებულია ამ პირის მიერ მუდმივი საცხოვრებლის შეცვლასთან.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისის საფუძველზე საქართველოში იმპორტირებული ნიმუშების რეალიზაცია ან შემოსავლის მიღების მიზნით სხვა სახით გამოყენება აკრძალულია იმპორტიდან 3 წლის განმალობაში.

4. იმ სახეობის ნიმუშის იმპორტი, რომელიც შეძენილია ამ ნიმუშის მიმართ კონვენციის დებულების ამოქმედებამდე, შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის პრეკონვენციური სერტიფიკატის/ნებართვის საფუძველზე. იმ სახეობის ნიმუშის ექსპორტი ან რეექსპორტი, რომელიც შეძენილია ამ ნიმუშის მიმართ კონვენციის დებულებების ამოქმედებამდე, ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 76. ნებართვის გაცემის წესი

1. ნებართვა გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესების დაცვით და ამ თავით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

2. საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭო ადგენს კონვენციის II და III დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშების წლიურ საექსპორტო კვოტას, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. აღნიშნული კვოტის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონვენციის მხარეთა კონფერენციის ან კომიტეტების მიერ აღიარებული მეთოდიკა (არსებობის შემთხვევაში).

3. ნებართვის მისაღებად განცხადება და თანდართული დოკუმენტები შეიძლება წარდგენილ იქნას ელექტრონული ფორმით. ნებართვის მაძიებლის მიერ განცხადების

წარდგენა, მისი წარმოებაში მიღება და განხილვა ხდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

4. განცხადება, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ექსპორტისთვის, იმპორტისთვის, რეექსპორტისთვის ან ზღვიდან ინტროდუქციისათვის განკუთვნილი ნიმუშის სახეობის დასახელებას (ქართულ და სამეცნიერო სახელწოდებას), აღწერას და რაოდენობას;

ბ) სახეობის ნიმუშის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ზღვიდან ინტროდუქციის მიზანს (კომერციული მიზნით, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისთვის, ცირკისთვის ან მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო მიზნით, სანადირო ტროფეის სახით, კერძო საკუთრებისთვის, სამედიცინო მიზნით, საგანმანათლებლო მიზნით, ბუნებაში რეინტროდუქციისთვის/ინტროდუქციისთვის, ხელოვნურად მოშენებისთვის/ტყვეობაში გამრავლებისთვის, კანონაღსრულებისთვის/სასამართლო მიზნისთვის/ექსპერტიზისთვის);

გ) ექსპორტისთვის, იმპორტისათვის, რეექსპორტისთვის ან ზღვიდან ინტროდუქციისთვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროს და დროს;

დ) ექსპორტიორის/რეექსპორტიორის და იმპორტიორის რეკვიზიტებს.

5. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუშის ექსპორტის შესახებ განცხადება დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის სახეობის დასახელება და ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობა;

ბ) მიწის ნაკვეთზე არსებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა;

გ) მიწის ნაკვეთის მართვის ღონისძიებები;

დ) ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ პირველად ხელოვნურად როდის იქნა გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარე ამ მიწის ნაკვეთზე;

ე) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა იყო პირველად ხელოვნურად გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის წარმოშობის წყარო;

ვ) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ უკანასკნელად როდის დაირგო კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუში ამ მიწის ნაკვეთზე და რა იყო მისი წარმოშობის წყარო.

6. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მართულ მეურნეობაში გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუშის ექსპორტის შესახებ განცხადება დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის სახეობის დასახელება და ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობა;

ბ) მიწის ნაკვეთზე არსებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუშების სავარაუდო რაოდენობა;

გ) მიწის ნაკვეთის მართვის ღონისძიებები;

დ) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ პირველად როდის იქნა გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარე ამ მიწის ნაკვეთზე;

ე) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა იყო პირველად მართულ მეურნეობაში გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის წარმოშობის წყარო;

ვ) ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ უკანასკნელად როდის დაირგო კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის ნიმუში ამ მიწის ნაკვეთზე და რა იყო მისი წარმოშობის წყარო.

7.ნებართვის მისაღებად წარსადგენ განცხადებას, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სახეობის ნიმუშის ექსპორტის შემთხვევაში:

ა.ა) სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი ან ამ ნიმუშის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ბუნებიდან მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.ბ) კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის შემთხვევაში – იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული იმპორტის შესაბამისი ნებართვა;

ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული და მართულ მეურნეობაში გაშენებული მცენარის ნიმუშის შემთხვევაში:

ბ.ა) საჯარო რეესტრიდან ამონაწერი;

ბ.ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთზე გაშენებული მცენარის რესურსის ოდენობის შესახებ;

ბ.გ) წარმოშობის წყაროს და ოპერირების პერიოდში შემატებული რესურსის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) სახეობის ნიმუშის იმპორტის შემთხვევაში – წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ ნიმუშის წარმოშობის წყარო და იმპორტის მიზანი შესაბამისობაშია კონვენციის მოთხოვნებთან, ხოლო სახეობის ცოცხალი ნიმუშის იმპორტის შემთხვევაში – აგრეთვე ამ ნიმუშის შენახვისა და მოვლის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დ) სახეობის ნიმუშის რეექსპორტის შემთხვევაში:

დ.ა) კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის რეექსპორტის შემთხვევაში - ნიმუშის საქართველოში იმპორტის დროს გამოყენებული ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის ექსპორტის ნებართვა ან ბოლო რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის რეექსპორტის ნებართვა/სერტიფიკატი და იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის იმპორტის ნებართვა;

დ.ბ) კონვენციის II და III დანართებში შეტანილი სახეობის რეექსპორტის შემთხვევაში - ნიმუშის საქართველოში იმპორტის დროს გამოყენებული ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის ექსპორტის ნებართვა ან ბოლო რეექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული CITES-ის რეექსპორტის ნებართვა/სერტიფიკატი ან წარმოშობის სერტიფიკატი.

ე) სახეობის ნიმუშის ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევაში - სახეობის ნიმუშის შენახვისა და მოვლის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ.ბ“ და ,,ბ.გ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ შეეხება იმ მცენარის ნიმუშს, რომლიც საქართველოში ბუნებრივად არ არის გავრცელებული. ასეთი მცენარეების საშენების მონიტორინგი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

9. კერძო ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული ან მართულ მეურნეობაში გაშენებული მცენარის რესურსის ოდენობის თაობაზე დასკვნის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემის წესი განისაზღვრება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) II დანართში შეტანილ მცენარის ხელოვნურად გაშენების ან მართულ მეურნეობაში არსებული რესურსის ოდენობის თაობაზე დასკვნის გაცემის წესის შესახებ“ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 77. ნებართვის გაცემის განსაკუთრებული პირობები

1. კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის:

ა) ექსპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა, თუ:

ა.ა) სამეცნიერო საბჭო გამოიტანს დასკვნას, რომ ექსპორტი ამ სახეობას გადაშენების საფრთხეს არ შეუქმნის;

ა.ბ) სამინისტრო დარწმუნდება, რომ ეს ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით არ იყო მოპოვებული და იგი მომზადდება და გაიგზავნება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

ბ) იმპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა, თუ:

ბ.ა) სამეცნიერო საბჭო გამოიტანს დასკვნას, რომ იმპორტი ამ სახეობას გადაშენების საფრთხეს არ შეუქმნის;

ბ.ბ) ეს ნიმუში არ იქნება გამოყენებული უპირატესად კომერციული მიზნისათვის (იგი გამიზნულია კერძო მოხმარებისთვის, ბიოსამედიცინო მრეწველობისთვის, სახეობათა საკონსერვაციო სტატუსის გაუმჯობესების მიზნით ტყვეობაში გამრავლებისა და ხელოვნურად გაშენებისთვის, აქვს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დანიშნულება და სხვ.);

ბ.გ) სახეობის ცოცხალი ნიმუშის შემთხვევაში - სამინისტრო დარწმუნდება, რომ ამ ნიმუშის მიმღებს აქვს მისი შენახვისა და მოვლისათვის სათანადო პირობები.

გ) რეექსპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა, თუ სამინისტრო დარწმუნდება, რომ ამ სახეობის ცოცხალი ნიმუში მომზადდება და გაიგზავნება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხი შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს;

დ) ზღვიდან ინტროდუქციის მიზნით ნებართვა გაიცემა თუ:

დ.ა) სამეცნიერო საბჭო გამოიტანს დასკვნას, რომ ინტროდუქცია ამ სახეობას საფრთხეს არ შეუქმნის;

დ.ბ) სახეობის ცოცხალი ნიმუშის შემთხვევაში - უფლებამოსილი ორგანო დარწმუნდება, რომ ამ ნიმუშის მიმღებს აქვს მისი შენახვისა და მოვლის სათანადო პირობები;

დ.გ) სამინისტრო დარწმუნდება, რომ ეს ნიმუში უპირატესად კომერციული მიზნით არ იქნება გამოყენებული (იგი გამიზნულია კერძო მოხმარებისთვის, ბიოსამედიცინო მრეწველობისთვის, სახეობათა საკონსერვაციო სტატუსის გაუმჯობესების მიზნით ტყვეობაში გამრავლებისა და ხელოვნურად გაშენებისთვის, აქვს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დანიშნულება და სხვ.).

2. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის მიზნით ექსპორტის ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) სამეცნიერო საბჭო გამოიტანს დასკვნას, რომ ექსპორტი ამ სახეობას გადაშენების საფრთხეს არ შეუქმნის (გარდა კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის კომერციული მიზნით ექსპორტისა, როდესაც საექსპორტო რაოდენობა აღემატება ამ კანონის 72-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ოდენობებს);

ბ) სამინისტრო დარწმუნდება, რომ ეს ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით არ იყო მოპოვებული და იგი მომზადდება და გაიგზავნება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

3. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის კომერციული მიზნით ექსპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა:

ა) შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე;

ბ) შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) იმ პირის (ან მისი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე ან იმ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც ხელოვნურად ან მართულ მეურნეობაში გაშენებულია კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარე.

დ) ნადირობის ობიექტებს დაქვემდებარებული სახეობების ველური ბუნებიდან მოპოვების შემთხვევაში - ნიმუშის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

4. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული მცენარის ნიმუშის ექსპორტისათვის ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მცენარე გაშენებულია განცხადების წარდგენამდე 5 წლით ადრე მაინც;

ბ) აღნიშნული სახეობის სასაქონლო ზომის ნიმუშების (ბოლქვების/გორგლების) სრული ოდენობით მოპოვების შემთხვევაში – აღნიშნულ ნაკვეთზე ნიმუშების (ბოლქვების/გორგლების) შემდგომ მოპოვებამდე გასულია 3 წელი მაინც;

გ) წარმოშობის წყაროს წარმოადგენს კონვენციის N11.11 რეზოლუციის შესაბამისად ხელოვნურად გაშენებული ან კონვენციის რეგულაციებიდან გამონაკლისი მასალა;

დ) წარმოდგენილია:

დ.ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული მცენარის რესურსის ოდენობა;

დ.ბ) საჯარო რეესტრიდან ამონაწერი;

დ.გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიწის ნაკვეთიდან აღნიშნული სახეობის ფაქტობრივი მოპოვების რაოდენობა, თუ იგი წინა წელს იქნა მოპოვებული.

5. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მართულ მეურნეობაში გაშენებული მცენარის ნიმუშის ექსპორტისათვის ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მცენარე გაშენებულია განცხადების წარდგენამდე 5 წლით ადრე მაინც;

ბ) წარმოშობის წყარო მოპოვებულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების შესაბამისად;

გ) წარმოდგენილია:

გ.ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად გაშენებული მცენარის რესურსის ოდენობა;

გ.ბ) საჯარო რეესტრიდან ამონაწერი;

გ.გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიწის ნაკვეთიდან აღნიშნული სახეობის ფაქტობრივი მოპოვების რაოდენობა, თუ იგი წინა წელს იქნა მოპოვებული.

დ) სამეცნიერო საბჭოს დასკვნის თანახმად საექსპორტოდ განკუთვნილი რესურსის ოდენობა მიჩნეულია მდგრად მოპოვებად.

6. მართულ მეურნეობაში გაშენებული კონვენციის II დანართში შეტანილი მცენარის სახეობის ექსპორტის შემთხვევაში ნებართვის გაცემა დასაშვებია ნაკვეთზე არსებული რესურსის არაუმეტეს 30%-ის ექსპორტისათვის, გარდა სამეცნიერო საბჭოს მიერ სხვა ოდენობის დადგენის შემთხვევისა.

7. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ტყვეობაში გამრავლებული/ხელოვნურად გაშენებული და მართულ მეურნეობაში გაშენებული ნიმუშის კომერციული მიზნით ექსპორტისათვის ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) ნიმუში გამრავლდა სამინისტროს მიერ კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების რეესტრში რეგისტირებული სუბიექტის მიერ, ხოლო კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის შემთხვევაში - სამინისტროს და კონვენციის სამდივნოში კონვენციის სამდივნოს მიერ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად რეგისტრირებული სუბიექტის მიერ;

ბ) ცხოველების შემთხვევაში ნიმუში მარკირებულია.

8. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობისგან წარმოებული ხიზილალის ექსპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა მხოლოდ კონვენციის სამდივნოს რეესტრში დარეგისტრირებულ ხიზილალას მწარმოებელ საწარმოზე.

9. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების საწარმოს, მათ შორის, ხიზილალის მწარმოებელი საწარმოს რეგისტრაციისა და ტყვეობაში გამრავლებული ცხოველის მარკირების, ასევე

მცენარეთა მართულ მეურნეობაში მოშენების წესები განისაზღვრება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ტყვეობაში გამრავლების ან ხელოვნურად მოშენების საწარმოს/მართული მეურნეობის რეგისტრაციის წესის შესახებ დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

10. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის მიზნით რეექსპორტის ნებართვა გაიცემა, თუ სამინისტრო დარწმუნდება, რომ ამ სახეობის ცოცხალი ნიმუში მომზადდება და გაიგზავნება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

11. კონვენციის II დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის ზღვიდან ინტროდუქციის მიზნით ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) სამეცნიერო საბჭო გამოიტანს დასკვნას, რომ ინტროდუქცია არ შეუქმნის საფრთხეს მოცემულ სახეობას;

ბ) სახეობის ცოცხალი ნიმუშის შემთხვევაში - სამინისტრო დარწმუნდება, რომ ამ ნიმუშისადმი მოპყრობისას მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისა და სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმალური იქნება.

12. კონვენციის III დანართში სახეობების ნიმუშების ექსპორტის მიზნით ნებართვა გაიცემა, თუ:

ა) ეს ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით არ იყო მოპოვებული;

ბ) სამინისტრო დარწმუნდება, რომ ამ სახეობის ცოცხალი ნიმუში მომზადდება და გაიგზავნება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

მუხლი 78. სამეცნიერო საბჭო

1. ამ თავით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მინისტრის ბრძანებით იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – სამეცნიერო საბჭო.

2. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი განისაზღვრება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) სამეცნიერო საბჭოს დებულებით", რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

3. სამეცნიერო საბჭო არ მონაწილეობს ლიცენზიის საფუძველზე მოპოვებული ნიმუშის და პრეკონვენციური ნიმუშის ნებართვის გაცემის პროცესში.

4. ხიზილალის მწარმოებლების შემთხვევაში სამეცნიერო საბჭო ყოველწლიურად განიხილავს საწარმოში არსებული რესურსის ოდენობის შესახებ ინფორმაციას და გასცემს რეკომენდაციას საექსპორტო ოდენობებისა და პირობების შესახებ.

მუხლი 79. ნებართვის მოქმედების ვადა

1. ამ თავით გათვალისწინებული ნებართვით სარგებლობა ვადიანია.

2. სახეობის ნიმუშის ექსპორტის ან რეექსპორტის მიზნით გაცემული ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

3. სახეობის ნიმუშის იმპორტის ან ზღვიდან ინტროდუქციის მიზნით გაცემული ნებართვა ძალაშია გაცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

მუხლი 80. ნებართვის მფლობელის ვალდებულებები

1. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ხელოვნურად და მართულ მეურნეობაში გაშენებული მცენარის ნიმუშის ექსპორტის მიზნით ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) მცენარის ნიმუშის მოპოვება განახორციელოს მხოლოდ ნებართვაში მითითებული მიწის ნაკვეთიდან;

ბ) ნებართვის მიღებისა და მცენარეთა ნიმუშის მოპოვების შემდეგ ნებართვის გამცემ ორგანოს ნებართვის გაცემიდან 3 თვის ვადაში წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლითაც დასტურდება მიწის ნაკვეთიდან აღნიშნული სახეობების ფაქტობრივი მოპოვების რაოდენობა.

2. კონვენციის სამდივნოს ხიზილალის ექსპორტის განმახორციელებელი საწარმოების რეესტრში რეგისტრირებული ხიზილალის მწარმოებელი საწარმო ვალდებულია:

ა) მწარმოებელი მასალის იმპორტის განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს ექსპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული და ექსპორტის ქვეყნის საბაჟო სამსახურის მიერ დამოწმებული ექსპორტის ნებართვის დედანი;

ბ) სამინისტროს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრამდე წარუდგინოს დეტალური ანგარიში კონვენციის დანართებში შეტანილ სახეობებებთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების (ხიზილალის წარმოება/იმპორტი/ექსპორტი/შიდა ბაზარზე რეალიზაცია; ხიზილალის წარმოების შემდეგ დარჩენილი ხორცის რეალიზაცია) თაობაზე. ანგარიშის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ნებართვა არ გაიცემა ანგარიშის წარმოდგენამდე;

გ) განახორციელოს მხოლოდ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად მარკირებული ხიზილალის ექსპორტი;

დ) საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს;

ე) მწარმოებელი მასალის მოპოვება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობისა და კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 81. რეტროსპექტულად გაცემული ნებართვა ან სერტიფიკატი

1. ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებულ ექსპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევებზე, გამონაკლისი სახით, შეიძლება გაიცეს ამ კანონით გათვალისწინებული ნებართვა რეტროსპექტულად კონვენციის შესაბამისად.

2. ნებართვა რეტროსპექტულად გაიცემა იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, თუ სამინისტრო ყოველმხრივი მოკვლევისა და იმპორტის ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოსთან კონსულტაციების შედეგად დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს შემთხვევით შეცდომას და არა შეცდომაში შეყვანის მცდელობას და სახეობის ნიმუშის გადატანა, სხვა მხრივ, შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.

3. ნებართვის რეტროსპექტულად გაცემა აკრძალულია კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშისთვის. ნებართვის რეტროსპექტულად გაცემა, გამონაკლისის სახით, დასაშვებია მხოლოდ კონვენციის II და III დანართში შეტანილ სახეობის ნიმუშისთვის.

4. ნებართვის რეტროსპექტულად გაცემის შემთხვევაში ნებართვაში მკაფიოდ უნდა მიეთითოს, რომ ეს ნებართვა გაცემულია რეტროსპექტიულად, და განიმარტოს შესაბამისი მიზეზი.

5. აკრძალულია ნებართვის რეტროსპექტულად გაცემა იმ პირზე, რომელზედაც ერთხელ გაიცა ნებართვა რეტროსპექტულად.

6. სხვა ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეტროსპექტულად გაცემული CITES-ის ნებართვა ან სერტიფიკატი და ასეთი დოკუმენტით კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ნიმუშის საქართველოში იმპორტის განხორციელების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

7. თუ პირად საკუთრებაში არსებული ნიმუშის იმპორტი განხორციელდა ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად - რეტროსპექტულად გაცემული CITES-ის ნებართვით ან სერტიფიკატით, აკრძალულია ამ ნიმუშის გაყიდვა იმპორტის განხორციელებიდან 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 82. საერთაშორისო ვაჭრობა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც არ არის კონვენციის წევრი

1. საქართველოდან იმ სახელმწიფოში ექსპორტი ან რეექსპორტი რომელიც არ არის კონვენციის წევრი, ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული დოკუმენტების საფუძველზე. საქართველოში იმ სახელმწიფოდან იმპორტი რომელიც არ არის კონვენციის წევრი, ხორციელდება ამ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, რომლითაც დასტურდება კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. სამინისტრომ, კონვენციის I დანართში შეტანილი სახეობის ნიმუშის იმ სახელმწიფოდან, რომელიც არ არის კონვენციის წევრი, იმპორტის მიზნით ნებართვა და ამ სახელმწიფოში ექსპორტის მიზნით ნებართვა ან CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატი უნდა გასცეს მხოლოდ კონვენციის სამდივნოს წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

3. იმ სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა, სერტიფიკატი ან ნებართვის ანალოგიური დოკუმენტი, რომელიც არ არის კონვენციის წევრი, მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ნებართვის, სერტიფიკატის ან ანალოგიური დოკუმენტის გამცემი ორგანოს დასახელებას, ბეჭედს და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერას;

ბ) სახეობის ზუსტ დასახელებას;

გ) სახეობის ნიმუშის წარმომავლობას - იმ შემთხვევაში, თუ სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყარო სხვა ქვეყანაა, ამ ქვეყნის ექსპორტის ნებართვის ნომერს;

დ) იმის დადასტურებას, რომ ექსპორტი კომპეტენტური სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ხორციელდება და რომ იგი ამ სახეობას საფრთხეს არ შეუქმნის (შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს რეკომენდაციის ასლი) და რომ ნიმუში ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისადაა მოპოვებული;

ე) იმის დადასტურებას, რომ ცოცხალი ცხოველის ექსპორტი ან რეექსპორტი განხორციელდება იმგვარად, რომ მისი დაზიანების, ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის ან სასტიკი მოპყრობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

4. იმ სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც არ არის კონვენციის წევრი, მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელმწიფოში ამგვარი დოკუმენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო და სამეცნიერო დაწესებულება შეტანილია კონვენციის ვებ-გვერდზე განთავსებულ მონაცემთა ბაზაში, ან კონვენციის სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ.

მუხლი 83. სანებართვო მოწმობის ფორმა

1. ამ თავით გათვალისწინებული ნებართვის ფორმა მტკიცდება ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვისა და წარმოშობის სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით.

2. ნებართვა გაიცემა 4 ეგზემპლარად (დედანი და დედნის დამოწმებული 3 ასლი). ნებართვის 1 ასლი რჩება ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო დედანი და 2 ასლი გადაეცემა ნებართვის მაძიებელს საბაჟო გამშვებ პუნქტში წარსადგენად, სადაც საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი სახეობის ნიმუშის ექსპორტის/რეექსპორტის განხორციელებისას ნებართვის ეგზემპლარებს ხელმოწერითა და ოფიციალური ბეჭდით დაამოწმებს. დამოწმებული ნებართვის 1 ასლი რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში, ხოლო ნებართვის დედანი და 1 ასლი წარედგინება იმპორტის ქვეყნის საბაჟოს.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ დამოწმებული ნებართვის ან სერტიფიკატის ასლს ექსპორტის, იმპორტის ან რეექსპორტის განხორციელებიდან 1 თვის ვადაში უგზავნის სამინისტროს.

4. სამინისტრო კონვენციის სამდივნოს წინასწარ უგზავნის ნებართვის ხელმომწერი პასუხისმგებელი პირის სახელსა და გვარს და მისი ხელმოწერის ნიმუშს.

მუხლი 84. სანებართვო მოწმობის დაკარგვა ან დაზიანება

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმები.

2. ნებართვის მფლობელისგან ნებართვის დაკარგვის ან დაზიანების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში სამინისტრო ამის თაობაზე აცნობებს იმპორტის ქვეყანას, ხოლო კომერციული მიზნით საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში - აგრეთვე კონვენციის სამდივნოს.

მუხლი 85. ნებართვის გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა

1. ნებართვის გაუქმებისა და მასში ცვლილების შეტანის წესი განისაზღვრება ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით.

2. ნებართვის გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს ნებართვის მფლობელს, კონვენციის სამდივნოსა და იმპორტის ქვეყანას.

3. საჭიროების შემთხვევაში გაცემული ნებართვის ახალი ნებართვით ჩანაცვლება ხდება ნებართვისა და მისი ყველა ასლის სამინისტროში ჩაბარების შემდეგ.

4. ნებართვის დაკარგვის შემთხვევაში, ნებართვის ასლი გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური დაადასტურებს, რომ ექსპორტი, იმპორტი ან რეექსპორტი არ განხორციელებულა. ექსპორტის შემთხვევაში ექსპორტის განუხორციელებლობა უნდა დაადასტუროს აგრეთვე იმპორტის ქვეყნის საბაჟო სამსახურმა.

მუხლი 86. სანებართვო მოსაკრებელი

სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა და ბიუჯეტში გადახდის წესი განისაზღვრება ,,სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 87. CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი

1. CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება.

2. განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების გარდა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახეობის ნიმუშის (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელებას (ქართული ან/და სამეცნიერო სახელწოდებას), რაოდენობას და აღწერას;

ბ) სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროსა და დროს;

გ) ექსპორტიორისა და იმპორტიორის რეკვიზიტებს.

3. განცხადებას უნდა დაერთოს სახეობის ნიმუშის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის ფორმას ამტკიცებს მინისტრი.

5. CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატი ძალაშია გაცემიდან 12 თვის განმავლობაში.

მუხლი 88. ნიმუშის იდენტიფიკაცია

უკანონო ვაჭრობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ნიმუშის იდენტიფიკაციისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება სამართალდამღვევის მიერ.

მუხლი 89. კონფისკირებული ნიმუშების განთავსება

1. კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ნიმუშის დაკავების შემთხვევაში ნიმუში დროებით შესანახად გადაეცემა შესაბამისი პროფილის დაწესებულებას, ხოლო კონფისკაციის შემთხვევაში ამ ნიმუშის განთავსების ადგილის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ სამინისტროსთან შეთანხმებით, სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

2. კონვენციის დანართებში შეტანილი ცხოველის სახეობის ცოცხალი ნიმუშის წარმოშობის ქვეყნის დადგენის შემთხვევაში, სამინისტრო ნიმუშის კონფისკაციის შესახებ აცნობებს ნიმუშის წარმოშობის ქვეყნის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და მიზანშეწონილობის დადგენის შემთხვევაში გადასცემს მას კონფიკაციის შედეგად ჩამორთმეულ ნიმუშს.

3. არაცოცხალი ნიმუშის კონფისკაციის შემთხვევაში ნიმუშის განთავსების ადგილზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნიმუშის ტრანსპორტირებისა და დროებითი შენახვის ხარჯები ეკისრება სამართალდამრღვევ პირს.

5. კონფისკაციის შედეგად ჩამორთმეული ცოცხალი ცხოველების განთავსების და შენახვის ხარჯებს ანაზღაურებს ცხოველის განთავსების ადგილზე პასუხისმგებელი დაწესებულება ან სამინისტრო მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 90. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

1. ამ თავით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით.

2. ამ თავით სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ.

თავი IX

გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება

მუხლი 91. მოწესრიგების მიზანი

1. ეს თავი აწესრიგებს გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების საკითხებს.

2. ეს თავი არ ვრცელდება მცენარეებზე, რომლებიც რეგულირდება „საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების“ მულტილატერალური სისტემით.

მუხლი 92. ტერმინთა განმარტებები

კანონის ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **მკვლევარი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კომერციულ ან არაკომერციულ კვლევას და/ან განვითარებას;

ბ) **გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის კომერციული გამოყენება** - კვლევა და/ან განვითარება კომერციული სარგებლის მიღების მიზნით;

გ) **გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის არაკომერციული გამოყენება** - კვლევა და/ან განვითარება კვლევის/განვითარების შედეგების გასაჯაროვების და საჯარო გამოყენების მიზნით, როცა კვლევის მიზანია გენეტიკური რესურსის მახასიათებლების შესწავლა კომერციული მიზნით გამოყენების გარეშე;

დ) **საზღვარგარეთ ხელმისაწვდომი გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული პროდუქტი** - პროდუქტი, რომელიც შეიცავს გენს ან გენთა თანმიმდევრობას უცხოური გენეტიკური რესურსიდან და ატარებს მის ძირითად მახასიათებლებს;

ე) **ტრადიციული ცოდნა** - ცოდნა გენეტიკური რესურსების შესახებ, რომელსაც ფლობს ფიზიკური პირი და რომელიც არის წარმოქმნილი და გადაცემული ტრადიციებით ან ინდივიდუალური გამოცდილებით.

მუხლი 93. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი

ადმინისტრაციული ორგანოა სამინისტრო, რომელიც გასცემს ნებართვებს და დებს გენეტიკური რესურსების და ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის ხელშეკრულებას.

2. სამინისტრო არის გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ ნაგოიას ოქმით გათვალისწინებული ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო და ეროვნული უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულება.

მუხლი 94. სარგებლის სამართლიანი განაწილება

1. სარგებელი, რომელიც მიღებულია საქართველოში წარმოშობილი გენეტიკური რესურსების გამოყენებით, ასევე რომელიც გამომდინარეობს მათი შემდგომი გამოყენებიდან და კომერციალიზაციიდან, სამართლიანად უნდა გაუნაწილდეს საქართველოს, სამინისტროსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

2. საქართველოში წარმოშობილ გენეტიკურ რესურსებთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობის შედეგად მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ასეთი ცოდნის მატარებელ პირებზე, ამ ტრადიციული ცოდნის მქონე პირებთან და სამინისტროსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

3. სარგებელი კანონის ამ თავის მიზნებისთვის შეიძლება იყოს ფინანსური და არაფინანსური, მათ შორის, ნაგოიას ოქმის დანართით განსაზღვრული სარგებელი.

მუხლი 95. გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვა და ხელშეკრულება გამოყენებასა და სარგებლის განაწილებაზე

1. საქართველოში in-situ და ex-situ არსებულ გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა საჭიროებს ,,საქართველოში არსებული გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვას“ (ამ თავში შემდგომში - ნებართვა) და ხელშეკრულებას სარგებლის განაწილებაზე. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება რესურსის საგანმანათლებლო მიზნებისთვის ხელმისაწვდომობაზე.

2. ამ მუხლით განსაზღვრული ნებართვის მაძიებელი და ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ან უცხო ქვეყნის მოქალაქე პირი, რომელიც ეწევა სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მკვლევარი, რომელიც სამინისტროს მიმართავს ნებართვის მოსაპოვებლად და ხელშეკრულების დასადებად, ვალდებულია განაცხადს დაურთოს საქართველოს მოქალაქეობის მქონე მკვლევართან

პარტნიორობის დამადასტურებელი ხელშეკრულება.

4. განაცხადი შეიტანება სამინისტროში წერილობითი ფორმით. განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით" გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ასევე თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) ინფორმაცია გენეტიკური რესურსების შესახებ, რომელზეც ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს ნებადართული (ქართული და სამეცნიერო (ლათინური) დასახელება, ადგილმდებარეობა, რაოდენობა, ვადა);

გ) გენეტიკური რესურსების გამოყენების მიზანი;

დ) მოსალოდნელი სარგებლის საქართველოსთვის განაწილების ფორმისა და მოცულობის შესახებ;

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გენეტიკური რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ტრადიციული ცოდნა, ასეთი ცოდნის მატარებლის/მატარებლების წინასწარი ინფრომირებული თანხმობა და ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებული პირობებით გამოყენებისა და სარგებლის განაწილების შესახებ;

ვ) გენეტიკური რესურსების/ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების თაობაზე საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე მკვლევარს შორის დადებული ხელშეკრულების დამოწმებული ასლი (ნებართვის მაძიებელი უცხო ქვეყნის მოქალაქე მკვლევარის შემთხვევაში).

მუხლი 96. ადმინისტრაციული წარმოება

1. ნებართვის გაცემის მიზნით სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ამ კანონის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. სამინისტრო ამოწმებს განცხადების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. სამინისტრო უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რამდენადაც ეს აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

3. სამინისტრო გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის შესახებ იღებს განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

4. სამინისტრო გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების ან განახლების ან მისი გაუქმების შესახებ აქვეყნებს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

5. ნებართვის ფორმა განისაზღვრება დებულებით ,,გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე", რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. ნებართვა, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ნაგოიას ოქმის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ ინფორმაციას.

6. ნებართვის გაცემის პროცედურის ხარჯებს ანაზღაურებს ნებართვის მაძიებელი. ხარჯების ანაზღაურება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

7. ნებართვის მიმღები უფლებამოსილია მასალის შეაგროვოს და ამოიღოს მხოლოდ ნებართვით გათვალისწინებულ გეოგრაფიულ ადგილებში და რაოდენობით.

8. ნებართვის საფუძველზე მოპოვებულ რესურსებზე მესამე პირების დაშვების შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს მესამე პირების მიერ ნებართვით და ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 97. გენეტიკურ რესურსებზე დაშვებისა და მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების ხელშეკრულება

1. გენეტიკური რესურსების და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენებასთან და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. ხელშეკრულების ერთი მხარე არის სამინისტრო ან საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელზეც სამინისტრომ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება, ხოლო მეორე მხარე - გენეტიკურ რესურსებზე დაშვებით დაინტერესებული უცხო ქვეყნის მოქალაქე მკვლევარი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირით.

3. გენეტიკურ რესურსებზე დაშვებისა და მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს მინისტრი.

4. ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ სამინისტრომ, რომელიც გასცემს გენეტიკური რესურსებით სარგებლობის უფლებას, მიიღოს სარგებელი, რომელიც გამომდინარეობს გენეტიკური რესურსებით სარგებლობისგან. უნდა გაიმიჯნოს მონეტარული (კომერციული) და არამონეტარული (არაკომერციული) სარგებელი.

5. ხელშეკრულება, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს დათქმას:

ა) ხელმისაწვდომობის პირობების შესახებ;

ბ) ნებადართული კვლევისა და განვითარების შესახებ;

გ) კვლევისა და კვლევის შედეგების შემდგომი განვითარებისგან

მიღებული ცოდნის გადაცემის შესახებ;

დ) სარგებლის განაწილების წესისა და პირობების შესახებ;

ე) ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ;

ვ) მესამე პირებზე გენეტიკური რესურსებისა და კვლევის შედეგების გადაცემის პროცედურისა და პირობების შესახებ;

ზ) გენეტიკური რესურსების გამოყენების მიზნების შეცვლის შემთხვევაში ნებართვაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შესახებ;

თ) მხარეთა შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის წესის შესახებ.

მუხლი 98. სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი გენეტიკური რესურსებით სარგებლობა

1. იმ გენეტიკური რესურსების საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენება, რომლის წარმოშობის ქვეყანა არ არის საქართველო და ხორციელდება სხვა ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის (მისი ექვივალენტური დოკუმენტის) საფუძველზე, საჭიროებს ამ მუხლით დადგენილ წინასწარ შეტყობინებას.

2. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროში შეტანილი შეტყობინება სულ მცირე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) პროექტის ხელმძღვანელობაზე, შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებზე;

ბ) დაგეგმილ საქმიანობაზე;

გ) სარგებლის განაწილებაზე.

3. სამინისტრო ამოწმებს საქმიანობის შესაბამისობას ნებართვის პირობებთან. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, სამინისტრო ინფორმაციას აწვდის გენეტიკური რესურსის წარმოშობის ქვეყანას. წარმოშობის ქვეყნის მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის აკრძალვის შესახებ.

4. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია განცხადების წარდგენიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ დაიწყოს დაგეგმილი საქმიანობა, თუ კი სამინისტრო აღნიშნულ ვადაში არ იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 99. საზღვარგარეთ წარმოშობილი (უცხოური) გენეტიკური რესურსების კომერციალიზაცია

1. საზღვარგარეთ წარმოშობილი (უცხოური) გენეტიკური რესურსების საქართველოში გამოყენებით მიღებული პროდუქტის საბოლოო განვითარების ეტაპზე, მკვლევარმა უნდა შეატყობინოს პროდუქტის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ

უწყებას.

2. უფლებამოსილი სამინისტროსათვის წარდგენილი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პასუხისმგებელი პირი;

ბ) პროდუქტის დახასიათება;

გ) გენეტიკური რესურსი, რომლისგანაც მიღებული იქნა პროდუქტი;

დ) მოსალოდნელი შემოსავალი პროდუქტიდან;

ე) საზღვარგარეთის ქვეყანასთან ურთიერთშეთანხმებული პირობები;

ვ) სარგებლის გათვალისწინებული განაწილება.

3. უფლებამოსილი უწყების შეტყობინების საფუძველზე, სამინისტრომ უნდა შეამოწმოს შესაბამისობა გენეტიკური რესურსის წარმოშობის ქვეყანასთან ურთიერთშეთანხმებულ პირობებთან და კანონმდებლობასთან. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სამინისტრომ უნდა შეატყობინოს გენეტიკური რესურსის წარმოშობის ქვეყანას. წარმოშობის ქვეყნის მოთხოვნის საფუძველზე სამინისტრო ადგენს მკვლევარის ვალდებულებას მიღებული სარგებლის წარმოშობის ქვეყნისათვის სამართლიან განაწილებაზე.

მუხლი 100. გენეტიკური რესურსით სარგებლობის რეგისტრაცია

1. სამინისტრო ქმნის გენეტიკური რესურსით სარგებლობის ელექტრონულ რეესტრს.

2. სამინისტროს ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ან შეტყობინების მიღებიდან სამი თვის ვადაში რეესტრში შეაქვს განზრახული საქმიანობა და ინფორმაციას უგზავნის ნაგოიას სამდივნოს.

3. ამ მუხლით განსაზღვრული რეესტრის ფორმა და წარმოების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 101. ყოველწლიური ანგარიში

გენეტიკური რესურსების გამოყენებით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ყოველი წლის 15 დეკემბრამდე სამინისტროში წერილობით წარადგინოს წინა წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელობაზე, შესაბამისად, პროექტზე პასუხისმგებელ პირებზე;

ბ) ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის ეტაპებზე და შედეგებზე;

გ) სარგებლის ხელმისაწვდომობაზე;

დ) ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.

მუხლი 102. კონფიდენციალობა

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გენეტიკური რესურსების კომერციული კვლევა და განვითარება, ნებართვის მიმღები უფლებამოსილია შეზღუდოს მასალებზე, შედეგებზე და ამ კანონის 94-ე მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშებზე ხელმისაწვდომობა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი კვლევაში და რომლებსაც აქვთ ვალდებულება დაიცვან ამ შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნები.

2. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას მეორე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ გადასცეს ის მესამე პირებს მომწოდებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. ინფორმაციის კონფიდენციალობა არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც კანონის თანახმად ითვლება საჯარო ინფორმაციად.

4. მხარეთა ვალდებულება ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ ვრცელდება ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდგომაც.

მუხლი 103. ნებართვის მიმღების ვალდებულებები

1. ნებართვის მიმღები იღებს პასუხისმგებლობას მიმწოდებლის, მისი წარმომადგენლის და აგენტების ყველა დანაკარგზე, მიყენებულ ზიანზე (ადამიანებსა თუ ქონებაზე), ხარჯებზე, პრეტენზიებზე, მოთხოვნებზე, რომელიც გამომდინარეობს მიმღების მიერ გენეტიკური მასალების გამოყენებიდან, კვლევის შედეგების, პუბლიკაციებისა და ანგარიშების გამოყენებიდან და გამჟღავნებიდან.

2. ნებართვის მიმღები იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ მისი მოქმედება შეესაბამება მიმღების ქვეყნის და საერთაშორისო კანონმდებლობასა და პოლიტიკას საკარანტინო და ბიოუსაფრთხოების რეგულირების სფეროში, ასევე, იმპორტის, დამუშავების, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების მომწესრიგებელ ნორმებს.

3. ნებართვის მიმღები ადასტურებს, რომ მის მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გენეტიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლების მოპოვებასთან არის სწორი და სრულყოფილი.

თავი X

ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი მოწესრიგება

მუხლი 104. მოწესრიგების მიზანი

ამ თავის მიზანია ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობით გამოწვეული მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად.

მუხლი 105. საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება

1. საქმიანობა, რომელიც მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდებზე და დაცულ ჰაბიტატებზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ან იწვევს უარყოფით შეუქცევად ცვლილებებს, ხორციელდება ალტერნატივების შემოწმების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს, რომ საქმიანობის მიზანი არ მიიღწევა სხვა საშუალებით, რომელიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს ასეთ ზემოქმედებას.

2. დაუშვებელია საქმიანობა, როდესაც დაგეგმილი საქმიანობის შედეგად შეუძლებელი ხდება მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდებისა და დაცული ჰაბიტატებისათვის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება და ბიომრავალფეროვნების დაცვის ინტერესები აღემატება საქმიანობის განხორციელების ინტერესებს.

3. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდებისა და დაცული ჰაბიტატებისათვის უარყოფითი ზემოქმედება არ არის სახეზე, როდესაც:

ა) უარყოფითი ცვლილება უფრო ნაკლებია, ვიდრე ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, რომელიც შესაბამისი სახეობის ან საარსებო გარემოსთან მიმართებით ნორმალურ პროცესად განიხილება;

ბ) უარყოფითი ცვლილებები გამოწვეული ბუნებრივი მოვლენებით ან როდესაც ჩარევა გამოწვეულია გარემოს შენარჩუნების მიზნით განხორციელებული სავალდებულო ღონისძიებებით;

გ) უარყოფითი ცვლილებები ყოველგვარი ჩარევის გარეშე მოკლე დროში ექვემდებარება ბუნებრივ რეგენერირებას და პირვანდელ ან უკეთეს მდგომარეობაში აღდგენას.

მუხლი 106. უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა

1. თუ სახეზეა საქმიანობის განხორციელების შედეგად მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ინდივიდების ან დაცული ჰაბიტატებისთვის უარყოფითი ზემოქმედების გარდაუვალი საფრთხე (იმის საკმარისი ალბათობა, რომ ახლო მომავალში უარყოფით ზემოქმედებას ექნება ადგილი), საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეიმუშაოს უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის პროექტი (შემდგომ - გეგმის პროექტი) და

დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს. უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის პროექტს უნდა ერთოდეს აუდიტორის/აუდიტორული
ფირმის მიერ დადასტურებული ამ გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.

2. საქმიანობის განმახორციელებელი გეგმის პროექტს შეიმუშავებს და უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი ხარჯებითა და პასუხისმგებლობით.

3. უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის პროექტი უნდა შემუშავდეს შემდეგი რიგითობის დაცვით და შესაბამისი დასაბუთებით (მასში მითითებული უნდა იყოს ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების ვადები):

ა) თუ მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ან დაცული ჰაბიტატების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელი იქნება გონივრულ ვადაში და აღნიშნული არათანაზომიერ ხარჯებს არ მოითხოვს, საქმიანობის განმახორციელებელი პირი ადგენს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ღონისძიებებს.

ბ) თუ მკაცრად დაცული და დაცული სახეობების ან დაცული ჰაბიტატების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელი იქნება ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, საქმიანობის განმახორციელებელი ადგენს გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებებს.

გ) თუ დადგინდა, რომ მკაცრად დაცული და დაცული სახდეობების ან დაცული ჰაბიტატების პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადაში შეუძლებელი იქნება ან არათანაზომიერ ხარჯებს მოითხოვს, საქმიანობის განმახორციელებელი პირი ადგენს უარყოფითი ზემოქმედების ქვემ მოქცეული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებებს.

დ) საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ პუნქტის ,,ა“-,,გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიების ჩანაცვლება ფულადი საკომპენსაციო ღონისძიებით თუ:

დ.ა) აღნიშნული ღონისძიებები ვერ შესრულდება სათანადოდ;

დ.ბ) დაკავშირებული იქნება დიდ ხარჯებთან (რაც არაპროპორციულია გარემოსათვის მოტანილ სარგებელთან);

დ.გ) ვერ აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას ან ექვივალენტურ მდგომარეობას

იმავე ან სხვა ტერიტორიაზე.

4. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

5. საქმიანობის განხორციელების შედეგად მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატებისათვის მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების ფულადი საკომპენსაციო ღონისძიების ოდენობა განისაზღვრება ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტით დადგენილი წესების და პროცედურების საფუძველზე.

მუხლი 107. უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის დამტკიცება

1. სამინიტრო საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს გეგმის პროექტის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას:

ა) გეგმის დამტკიცების შესახებ;

ბ) გეგმის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ განსაზღვრული ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლის მიზანშეწონილობის შესახებ;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ახალი გეგმა შესაბამისი მითითებების გათვალისწინებით;

3. თუ სამინისტრო აკმაყოფილებს საქმიანობის განმახორციელებლის მოთხოვნას სანაცვლო საკომპენსაციო ღონისძიებების დადგენის თაობაზე, გეგმის პროექტს უგზავნის კომისიას, რომელიც განსაზღვრავს უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნულ შემთხვევაში სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს სზაკ-ის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დადგენილ ვადებში.

4. მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და დაცული ჰაბიტატების უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების ამავე ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განხორცილების გეგმის პროექტის დამტკიცების მიზნით მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება უარყოფითი ზემოქმედების

საკომპენსაციო ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისია (შემდგომ -კომისია).

5. კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის დამტკიცების მიზანშეწონილობის შესახებ და წარუდგენს სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

6. თუ კი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე შემოქმედების შეფასებას, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინება ხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 108. უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობა

1. უარყოფითი ზემოქმედების გამოწვევაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებები განახორციელოს უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

2. უარყოფითი ზემოქმედებისს საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის შესრულებას ზედამხედველობს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

3. საქმიანობის განმახორციელებელი პირის შეცვლის შემთხვევაში უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრისა და განხორციელების ვალდებულება გადადის საქმიანობის განმახორციელებელ ახალ პირზე.

4. საქმიანობის განმახორციელებელ პირს უარყოფითი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმის შეუსრულებლობისთვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XI. პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის

მუხლი 109. პასუხისმგებლობის დაკისრება

1. ამ კანონით დადგენილი სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის წესების დარღვევა იწვევს საქართველოს სისხლის სამართლისა და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილ პასუხისმგებლობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის ჩამდენს კანონის დარღვევით

მიყენებული ზიანის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურებისაგან და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან

თავი XII
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 110. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები

1. მინისტრმა 2023 წლის 1 იანვრამდე უნდა გამოსცეს შემდეგი ბრძანებები:

ა) ,,გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის შესახებ“;

ბ) ,,საქართველოს წითელი ნუსხის კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ) ,,საქართველოს მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხის კომისიის შექმნის და დებულების დამტკიცების შესახებ“;

დ) ,,მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხაში შეტანილ მცენარეთა პლანტაციური მეურნეობის და ცხოველთა სახეობების ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების მეურნეობების რეესტრის წარმოების და მკაცრად დაცული და დაცული სახეობების და ჰაბიტატების ნუსხაში შეტანილი ცხოველების მარკირების წესის შესახებ“;

ე) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) II დანართში შეტანილი მცენარის ხელოვნურად მოშენების ან მართულ მეურნეობაში არსებული რესურსის ოდენობის თაობაზე დასკვნის გაცემის წესის შესახებ“;

ვ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ტყვეობაში გამრავლების ან ხელოვნურად მოშენების საწარმოთა/მართული მეურნეობების რეგისტრაციის წესის შესახებ“;

ზ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ 1973 წლის 3 მარტის ქ. ვაშინგტონის კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშის ექსპორტის დაიმპორტის ნებართვის და კომერციული მიზნით ექსპორტისათვის კონვენციის მეორე დანართში შეტანილი მცენარეთა სახეობების ნიმუშების ბუნებაში მოპოვების ლიცენზიის ფორმის დამტკიცების შესახებ“;

თ) ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის" და წარმოშობის სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ";

ი) ,,გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის ნებართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე";

კ) ,,გენეტიკურ რესურსებზე დაშვებისა და მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმის დამტკიცების შესახებ".

2. საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 1 იანვრამდე უნდა მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

ა) „გარეულ ცხოველთა, ველურ მცენარეებისა და სოკოების გარემოდან ამოღებისა და სარგებლობის წესის შესახებ";

ბ) ,,ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის შესახებ";

გ) „საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ქსელებში ჩართული ტერიტორიების შექმნისა და მართვის წესის შესახებ" დებულება;

დ) ,,ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი ტერიტორიების, იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების, მცენარეებისა და მათი საარსებო გარემოს დაცვის და მართვის წესების დადგენის, ტექნიკური რეგლამენტი".

3. 2024 წლის 1 იანვრამდე დადგინდეს გარეული ცხოველების (გარდა ნადირობის და თევზჭერის სახეობებისა) ხელოვნურ პირობებში მოშენების ან/და კომერციული სარგებლობის (გადამუშავების, რეალიზაციის, ექსპორტის და სხვ.) მიზნით, რომლებიც არ არის შეტანილი „მკაცრად დაცული და დაცული სახეობებისა და დაცული ჰაბიტატების ნუსხაში", გარემოდან ამოღების მოსაკრებელი.

4. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 იანვრამდე უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტების სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა ამ კანონით მინიჭებული დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

მუხლი 111. გარდამავალი მოწესრიგება

,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის" ფორმების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით რეგისტრაციამდე ძალას ინარჩუნებს მოქმედი ფორმები.

თავი. XIII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 112. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები

ამ კანონის მე-2 თავის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ,,წითელი ნუსხისა“ და ,,წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონი.

მუხლი 113. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-2 თავის, მე-3 თავის 36-ე მუხლის 5-ე-7-ე პუნქტებისა და მე-9 თავისა, ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის 36-ე მუხლის 5-ე-7-ე პუნქტები ამოქმედდეს 2028 წლის 1 იანვარს, გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების მიერ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის შემთხვევებისა.

3. ამ კანონის მ-2 თავი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის მე-9 თავი ამოქმედდეს გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების შესახებ ნაგოიას ოქმის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი